პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК и ТК КП ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

გამოცემის 37-ე წელი № 105 (10802) | კვირა, 5 მაისი, 1957 წ. | ფასი 20 კაპ.

## დ ღ ე ს ნ ო მ ე რ შ ი ა:

ნ. ა. ბულგანინის საუბარი ამერიკელ ტურისტ ქალთა ჯგუფთან (1-ლი გვერდი).

დეპეშების გაცვლა ნ. ა. ბულგანინს, ნ. ს. ხრუშჩოვსა და ინდოეთის პრემიერ-მინისტრ ჯავაჰარლალ ნერუს შორის (1-ლი გვერდი).

საქართველოს სსრ მრეწველობისა და მშენებლობის ხელმძღვანელობის შემდგომი სრულყოფისათვის. — ლ. სოსელია. — კომუნისტთა მაღალი აქტივობის ვითარებაში; შ. აგუმავა. — გავაერთიანოთ წვრილი ავტოსატრანსპორტო მეურნეობები; მშრომელთა წინადადებები (მე-2 გვერდი).

ნ. ჯაში. — პარტიის მძლავრი იდეური იარაღი (მე-2 გვერდი).

მაღლა გვეჭიროს მარქსიზმ-ლენინიზმის უძლეველი დროშა, ღირსეულად შევასრულოთ კოლექტიური პროპაგანდისტის, აგიტატორისა და მასების ორგანიზატორის როლი. — ი. ხაბალაშვილი. — გავაძლიეროთ მუშაობა სოფლის კორესპონდენტებთან; ვ. ლალიაშვილი. — რაზე ვიმუშავებთ; გ. ნადარეიშვილი. — [illegible] ბასარია. — გავაფართოვოთ კავშირი მუშკორებთან (მე-3 გვერდი).

ლ. ახლანიშვილი. — [illegible] ლიების პრესა (მე-4 გვერდი).

დ. გველესიანი. — „ალო, ბუდაპეშტ!" (მე-4 გვერდი).

# საბჭოთა პრესის დღე

დღეს საბჭოთა პრესის ტრადიციული დღესასწაულია. ორმოცდახუთი წლის წინათ, 1912 წლის 22 აპრილს (5 მაისს), პეტერბურგში გამოვიდა გაზეთ „პრავდის" პირველი ნომერი. ბოლშევიკური პარტიის ყოველდღიური ლეგალური გაზეთის პირველი ნომრის გამოსვლის თარიღს საბჭოთა ხალხი ყოველწლიურად ზეიმით აღნიშნავს.

საბჭოთა პრესა თავისი არსებობის პირველი დღეებიდანვე წარმატებით ასრულებს სახალხო პრესის კეთილშობილურ როლს, ზრდიდა და ზრდის ფართო მასებს მარქსიზმ-ლენინიზმისადმი ერთგულების სულისკვეთებით, დაუცხრომლად იბრძვის ჩვენს ქვეყანაში კომუნისტური საზოგადოების აშენებისათვის.

ჩვენი პარტია ყოველთვის განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებდა და ანიჭებს პრესას, როგორც თავის ყველაზე მძლავრ იდეურ იარაღს. დიდი ლენინი, მიგვითითებდა რა პრესის უაღრესად დიდ როლზე, აღნიშნავდა, რომ გაზეთი არის არა მარტო კოლექტიური პროპაგანდისტი და კოლექტიური აგიტატორი, არამედ კოლექტიური ორგანიზატორიც. საბჭოთა პრესა, რომელიც მთელ თავის საქმიანობას პარტიის ლენინური გენერალური ხაზის განხორციელებისათვის საბრძოლველად წარმართავს, განუხრელად მიჰყვება ლენინის მიერ ნაჩვენებ გზას.

კომუნიზმის მშენებელ საბჭოთა ადამიანებში კანონიერი სიამაყის გრძნობას იწვევს ის, რომ ბოლშევიკური პარტიის პირმშო, მისი აქტიური თანაშემწე — საბჭოთა პრესა ყოველდღიურად იზრდება და მტკიცდება. საბჭოთა ადამიანები ამაყობენ იმით, რომ ბურჟუაზიული პრესისაგან განსხვავებით საბჭოთა პრესა უდიდეს ძალად გაიზარდა და თავისი მართალი სიტყვით მშრომელთა ფართო მასების მხარდაჭერასა და საყოველთაო სიყვარულს იმსახურებს.

საბჭოთა პრესის ერთ-ერთი თავისებურება ის არის, რომ ის თვით მშრომელთა ხელით კეთდება. განაგრძობენ რა „პრავდის" ტრადიციას, რომელმაც თავის გარშემო თავიდანვე მუშა კორესპონდენტთა ფართო აქტივი შემოიკრიბა, ჩვენი ჟურნალები და გაზეთები ფართო გასაქანს აძლევენ მუშა და სოფლის კორესპონდენტებს, ყოველდღიურად ზრდიან მათ აქტივობასა და რიგებს. ჩვენს პრესაში აქტიურად თანამშრომლობენ მოწინავე მუშები, კოლმეურნეები, ინტელიგენტები, რომლებიც განაზოგადებენ თავიანთი მუშაობის გამოცდილებას, ხელს უწყობენ წარმოების ნოვატორთა რიგების ზრდას.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XX ყრილობამ ჩვენი ქვეყნის მშრომელებს მსოფლიო-ისტორიული მნიშვნელობის ამოცანები დაუსახა. ამ ამოცანების წარმატებით გადაწყვეტის ინტერესები მოითხოვდა და მოითხოვს პრესის ბრძოლისუნარიანობის ამაღლებას, მისი ორგანიზატორული საქმიანობის შემდგომ სრულყოფას. პრესა მოწოდებულია მჭიდროდ დარაზმოს მასები პარტიისა და მთავრობის პოლიტიკის განუხრელად განხორციელებისათვის, ფართოდ და საქმიანად ასახოს საბჭოთა ადამიანების თავდადებული შრომა მრეწველობის, სოფლის მეურნეობის, მშენებლობის, ტრანსპორტისა და კულტურის შემდგომი ამაღლებისათვის ბრძოლაში.

ჩვენი რესპუბლიკის პრესას მცირე წვლილი როდი შეაქვს პარტიის XX ყრილობის გადაწყვეტილებათა განხორციელების კეთილშობილურ საქმეში, მაგრამ პირდაპირ უნდა ითქვას, რომ ბევრი გაზეთი ჯერ კიდევ არადამაკმაყოფილებლად მუშაობს, სათანადოდ ვერ იყენებს ყველა შესაძლებლობას ქალაქისა და სოფლის მშრომელთა დასარაზმავად პარტიისა და მთავრობის მიერ დასახული ამოცანების გადაწყვეტისათვის. ცალკე რაიონული, საქალაქო და მრავალტირაჟიანი საქარხნო და საკოლმეურნეო გაზეთები შორს დგანან ცხოვრებიდან, ვერ სწვდებიან წარმოების ეკონომიკას, აქვეყნებენ მშრალ, ერთფეროვან, ზოგადი ფრაზებისაგან შედგენილ წერილებსა და კორესპონდენციებს.

ამჟამად მთელ ჩვენს ქვეყანაში მიმდინარეობს მრეწველობისა და მშენებლობის მართვის ორგანიზაციის შემდგომი სრულყოფის შესახებ ამხ. ნ. ს. ხრუშჩოვის მოხსენების თეზისების საყოველთაო-სახალხო განხილვა. წარმოების ეკონომიკის, მისი მართვის ორგანიზაციის საკითხების ფართოდ განხილვამ ჩვენი ქვეყნის საწარმოთა და დაწესებულებათა კოლექტივების შემოქმედებითი შრომის შემდგომი აღმავლობა გამოიწვია. ამასთან მუშებს, კოლმეურნეებს, სამეურნეო, პარტიულ, საბჭოთა, პროფკავშირულ და კომკავშირულ მუშაკებს შემოაქვთ ძვირფასი წინადადებანი სამეურნეო მშენებლობის ძირეულ საკითხებზე, საწარმოთა და მშენებლობათა ხელმძღვანელობის პრაქტიკის შემდგომი სრულყოფის საკითხებზე. მოხსენების თეზისების განხილვის დღეებში ბევრმა გაზეთმა გარდაქმნა მუშაობა, გააფართოვა და განამტკიცა კავშირი მასებთან. ისინი ახლა უკეთ აშუქებენ წარმოების ეკონომიკის საკითხებს, ყოველნაირად უწყობენ ხელს მშრომელთა აქტივობის ამაღლებას. ორი დღის შემდეგ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს სესია განიხილავს მრეწველობისა და მშენებლობის მართვის ორგანიზაციის შემდგომი სრულყოფის საკითხს. ამოცანა ის არის, რომ გაზეთებმა არ შეანელონ მუშაობის ის ტემპი, რომელიც მათ აღებული აქვთ სახალხო მეურნეობის უმნიშვნელოვანესი პრობლემების გაშუქების საქმეში.

მთელი ჩვენი ქვეყნის მშრომელები ამჟამად უდიდესი აღფრთოვანებით ემზადებიან დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის მე-40 წლისთავის შესახვედრად. ამ ისტორიული თარიღის აღსანიშნავად ყველგან — მრეწველობასა და სოფლის მეურნეობაში, მშენებლობასა და ტრანსპორტზე უდიდესი ძალით არის გაჩაღებული სოციალისტური შეჯიბრება. გაზეთების უპირველესი მოვალეობაა თანმიმდევრულად და საქმის ცოდნით ასახონ საბჭოთა ხალხის გმირული შრომა, დაეხმარონ მათ იმაში, რომ ახალი მიღწევებით შეხვდნენ დიდი ოქტომბრის სახელოვან თარიღს.

დიდი მოვალეობა აკისრია პრესას სასოფლო-სამეურნეო წარმოების მკვეთრი აღმავლობის უზრუნველყოფის საქმეში. გაზეთებმა ფართოდ უნდა გააშუქონ სასოფლო-სამეურნეო სამუშაოთა მიმდინარეობა, ხელი შეუწყონ საკოლმეურნეო სოფლის მოსახლეობას მიმდინარე წლის უხვი მოსავლის მიღებისათვის გაჩაღებულ ბრძოლაში.

პარტია მთელი სერიოზულობით ამახვილებდა და ამახვილებს ყურადღებას მასებში იდეოლოგიური მუშაობის გაძლიერების აუცილებლობისადმი. სამწუხაროდ, ჯერ კიდევ მთლიანად დაძლეული არ არის პროპაგანდის მოწყვეტა კომუნისტური მშენებლობის პრაქტიკისაგან. აღმოფხვრილი არ არის დოგმატიზმი და მედავითნეობა, რომელიც უცხოა მარქსიზმ-ლენინიზმის შემოქმედებითი სულისკვეთებისათვის. ზოგიერთი პარტიული ორგანიზაცია უყურადღებობას იჩენს პროპაგანდისტული და სააგიტაციო საქმიანობისადმი. ამ ნაკლოვანებათა დაძლევის საქმეში დიდია პრესის როლი.

ამჟამად პრესის, მისი მუშაკების ყურადღების ცენტრში უნდა იდგეს მუშა და სოფლის კორესპონდენტთა მოძრაობის ყოველმხრივ გაფართოება, ყველა საშუალება უნდა იქნას გამოყენებული იმისათვის, რომ გაზეთი კიდევ უფრო დავუახლოოთ მასებს, გავზარდოთ ავტორთა აქტივობა.

პრესის ბრძოლისუნარიანობა, მისი იდეური დონე მნიშვნელოვნად არის დამოკიდებული მისდამი პარტიულ ხელმძღვანელობაზე. არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ გაზეთები მხოლოდ იმ პირობით შეასრულებენ კოლექტიური პროპაგანდისტის, აგიტატორისა და ორგანიზატორის მოვალეობას, თუ პარტიული კომიტეტები ყოველდღიურად უხელმძღვანელებენ და წარმართავენ მათს მუშაობას.

ჩვენი პრესა პარტიის ყველაზე მძლავრი, ყველაზე შორსმსროლელი იარაღია. ეჭვს გარეშეა, რომ საბჭოთა პრესა კვლავაც აქტიურად დაეხმარება პარტიასა და ხალხს კომუნისტური საზოგადოების აშენებისათვის გაჩაღებულ ბრძოლაში.




ვლადიმერ ილიას-ძე ლენინი (1920 წ.). (საქდესის ფოტოქრონიკა).

### მის აღმატებულებას ბატონ ჯავაჰარლალ ნერუს, ინდოეთის რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრს

დელი

გთხოვთ მიიღოთ უაღრესად გულწრფელი სალამი და გულითადი მოლოცვა საბჭოთა კავშირის მთავრობის სახელით და პირადად ჩემგან თქვენ მიერ ინდოეთის ახალი მთავრობის შედგენის გამო.

საბჭოთა ხალხი, რომელიც ინახავს გულთბილ მოგონებას საბჭოთა კავშირში თქვენს ღირსსახსოვარ ვიზიტზე, დიდი კმაყოფილებით შეხვდა ცნობას იმის შესახებ, რომ თქვენ კვლავ სათავეში ჩაუდექით იმ დიდი ქვეყნის მთავრობას, რომელთანაც ჩვენ გვაკავშირებს უაღრესად მეგობრული და კეთილმეზობლური ურთიერთობა.

ნება მიბოძეთ გამოვთქვა რწმენა, რომ თქვენი ყოფნა ინდოეთის რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრის პოსტზე ხელს შეუწყობს ჩვენი ქვეყნების ხალხთა შორის ძმური მეგობრობისა და თანამშრომლობის შემდგომ განმტკიცებას მთელ მსოფლიოში მშვიდობისა და უშიშროების ინტერესებისათვის.

ნ. ბულგანინი.

მოსკოვი, 1957 წლის 26 აპრილი.

### მის აღმატებულებას ბატონ ჯავაჰარლალ ნერუს, ინდოეთის რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრს

დელი

სულით და გულით მოხარული ვარ მოგილოცოთ თქვენ, ძვირფასო ბატონო ნერუ, დიდი ინდოეთის მთავრობის ხელმძღვანელის პოსტის დაკავება.

კაცობრიობას არ შეუძლია არ დააფასოს ინდოეთის თვალსაჩინო წვლილი და პირადად თქვენი წვლილი მშვიდობის შენარჩუნებისა და განმტკიცების დიად საქმეში. დარწმუნებული ვართ, რომ მთავრობა, რომელსაც თქვენ მეთაურობთ, კვლავაც განუხრელად დაიცავს მშვიდობასა და საერთაშორისო თანამშრომლობას.

საბჭოთა ხალხი დიდად აფასებს ინდოელ ხალხთან ძმურ მეგობრობას, რომლის განვითარებისათვის თქვენ ესოდენ ბევრი გააკეთეთ და რომელმაც უკვე ცხადყო თავისი სიმტკიცე და თავისი მნიშვნელობა, როგორც მშვიდობის უმნიშვნელოვანესმა ფაქტორმა. დარწმუნებული ვართ, რომ საბჭოთა კავშირ-ინდოეთის მეგობრობა კვლავაც განვითარდება და განმტკიცდება ორივე ქვეყნის ხალხთა საკეთილდღეოდ.

გულწრფელად გისურვებთ ჯანმრთელობას და ახალ წარმატებებს თქვენს ნაყოფიერ მოღვაწეობაში.

ნ. ხრუშჩოვი.

მოსკოვი, 1957 წლის 26 აპრილი.

### მის აღმატებულებას ბატონ ნ. ა. ბულგანინს

დიდ მადლობას მოგახსენებთ, თქვენო აღმატებულებავ, მოლოცვისათვის, რომელიც გამომიგზავნეთ საბჭოთა კავშირის მთავრობის სახელით და პირადად თქვენი სახელით საყოველთაო არჩევნების შემდეგ ინდოეთის ახალი მთავრობის შედგენის გამო. თქვენი კეთილი სურვილები მეტად ძვირფასია ჩვენთვის, და ჩვენ დიდად მადლობელი ვართ ამ სურვილებისათვის. როგორც მოგეხსენებათ, ჩვენ დიდ მნიშვნელობას ვანიჭებთ ჩვენს ორ ქვეყანას შორის მეგობრულ ურთიერთობას და მთელ მსოფლიოში მშვიდობისა და უშიშროების საქმეს. შემიძლია დაგარწმუნოთ, რომ ჩვენ კვლავაც განვახორციელებთ ამ პოლიტიკას, და იმედი გვაქვს, რომ შეგვეძლება დავეყრდნოთ პირადად თქვენი და თქვენი მთავრობის მეგობრობასა და თანამშრომლობას ამ დიადი მიზნის განხორციელებაში.

ჯავაჰარლალ ნერუ.

დელი, 1957 წლის 30 აპრილი.

### მის აღმატებულებას ბატონ ნ. ს. ხრუშჩოვს

გთხოვთ მიიღოთ ჩემი დიდი მადლობა თქვენი კეთილი ნების წერილისა და მასში გამოთქმული მოლოცვისათვის; ჩვენ მივესალმებით ამ წერილს და გამოვთქვამთ დიდ მადლობას. დარწმუნებული ვართ, რომ ინდოეთსა და თქვენს დიდ ქვეყანას შორის მეგობრული ურთიერთობა ემსახურება არა მარტო ჩვენი ქვეყნების ურთიერთ კეთილდღეობას, არამედ მას აგრეთვე უდიდესი მნიშვნელობა აქვს მთელ მსოფლიოში მშვიდობისა და ხალხთა მშვიდობიანი თანაარსებობის დიადი საქმისათვის — იმ მიზნებისათვის, რომლებსაც ჩვენ ვემსახურებით. გულწრფელად მჯერა, რომ ინდოეთ-საბჭოთა კავშირის მეგობრობა განვითარდება და სამსახურს გაუწევს მშვიდობისა და თანამშრომლობის საქმეს. გითვლით ჩემს სალამსა და კეთილ სურვილებს.

ჯავაჰარლალ ნერუ.

დელი, 1957 წლის 30 აპრილი.

## ბ რ ძ ა ნ ე ბ უ ლ ე ბ ა

### საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

### რესპუბლიკის მუშა და სოფლის კორესპონდენტების დაჯილდოების შესახებ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით

ბეჭდვითი სიტყვის დღესთან დაკავშირებით, პრესაში ხანგრძლივი და აქტიური მუშაობისათვის დაჯილდოვდნენ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით რესპუბლიკის მუშა და სოფლის შემდეგი კორესპონდენტები:

1. ალბოროვი სიზისტორე სანდროს-ძე — კვაისის მაღაროთა სამმართველოს მეარმატურეთა და ზეინკალთა ბრიგადირი
2. ბერუჩევი არჩილ დავითის-ძე — გ. კ. ორჯონიკიძის სახელობის ქუთაისის საავტომობილო ქარხნის ლითონსამსხმელო № 2 საამქროს უფროსის თანაშემწე
3. ბულგაკოვი ანტონ დიმიტრის-ძე — სტალინირის მექანიკური ქარხნის სამსხმელო საამქროს უფროსი
4. ბუხაიძე ივანე ველიანეს-ძე — პენსიონერი, ქ. ქუთაისი
5. გაგლოევი დავით ალექსანდრეს-ძე — პენსიონერი, ქ. სტალინირი
6. დიმიტრიევა ინესა მიხეილის ასული — ფაბრიკა „საქტრიკოტაჟის" საგეგმო-საწარმოო განყოფილების ინჟინერი
7. ზარანდია მამია კადოს-ძე — ოჩამჩირის რაიონის მოქვის ჩაის საბჭოთა მეურნეობის აგრონომი
8. თულაშვილი ირაკლი დავითის-ძე — საქართველოს სსრ კულტურის სამინისტროს კულტურულ-საგანმანათლებლო რესპუბლიკური მეთოდიური კაბინეტის უფროსი მეთოდისტი
9. იტრიევი ნიკოლოზ იაკობის-ძე — პერსონალური პენსიონერი, ქ. თბილისი
10. კობერიძე ვარდიშ გიორგის-ძე — ი. ბ. სტალინის სახელობის ამიერკავკასიის მეტალურგიული ქარხნის საბრძმედე საამქროს ობერ-ოსტატი
11. მიქაშავიძე ნიკოლოზ ვარლამის-ძე — სოხუმის დრამატული თეატრის მსახიობი
12. მურადიანი აკოფ მანუკის-ძე — ახალქალაქის რაიონის სოფელ ბუზავეტის კოლმეურნეობის აგროტექნიკოსი
13. პეტროსიანი არშალუის გრიგოლის-ძე — ამიერკავკასიის რკინიგზის თბილისის დისტანციის უფროსი ინჟინერი
14. ფანცულაია ამირან სოლომონის-ძე — ი. ბ. სტალინის სახელობის ამიერკავკასიის მეტალურგიული ქარხნის მარტენის საამქროს მეფოლადე
15. ჩერტკოვი ნაუმ იულის-ძე — ი. ბ. სტალინის სახელობის ბათუმის ნავთობგადამამუშავებელი ქარხნის უფროსი ინჟინერი გამომგონებლობის დარგში
16. ჭუხრუკიძე თევდორე აბრამის-ძე — გორის რაიონის სოფელ კარალეთის კოლმეურნეობის გამგეობის თავმჯდომარის მოადგილე
17. ხაგბა ალექსი ბასას-ძე — გუდაუთის რაიონის აჭანდარის სასოფლო კლუბის გამგე
18. ჯინჭარაძე გული ოსმანის ასული — ქობულეთის რაიონის სოფელ ბობოყვათის ვ. მ. მოლოტოვის სახელობის კოლმეურნეობის ჩაის ფოთლის მკრეფავი.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე მ. ჩუბინიძე.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ს. როსტიაშვილი.

ქ. თბილისი, 1957 წლის 4 მაისი.

## ნ. ა. ბულგანინის საუბარი ამერიკელ ტურისტ ქალთა ჯგუფთან

4 მაისს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ ნ. ა. ბულგანინმა კრემლში მიიღო ტურისტ ქალთა — ამერიკის შეერთებული შტატების რადიოსა და სატელევიზიო ცენტრების თანამშრომელთა ჯგუფი.

საუბრის დროს, რომელიც გულთბილ, თავისუფალ ვითარებაში მიმდინარეობდა, ნ. ა. ბულგანინმა უპასუხა კითხვებზე, რომლებიც ეხებოდნენ მშვიდობის შენარჩუნების პრობლემებს, სსრ კავშირისა და ამერიკის შეერთებული შტატების ქალების როლს ახალი ომის თავიდან აცილებისა და სხვადასხვა სახელმწიფოს მშვიდობიანი თანამშრომლობის უზრუნველყოფის საქმეში, ილაპარაკა საბჭოთა ქალების დიდმნიშვნელოვან როლზე ჩვენი ქვეყნის სახელმწიფო, სამეურნეო და კულტურულ მშენებლობაში.

ამერიკელმა ტურისტმა ქალებმა მადლობა გადაუხადეს გულთბილი შეხვედრებისათვის, რომლებიც მათ ჰქონდათ საბჭოთა კავშირში, და იმედი გამოთქვეს, რომ ტურისტთა გაცვლა ხელს შეუწყობს ამერიკის შეერთებული შტატებისა და სსრ კავშირის ხალხთა უკეთეს ურთიერთ გაგებას. (საქდესი).

## საბჭოთა პრესის დღესასწაულის აღსანიშნავად

4 მაისს ვ. სარაჯიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიის დიდ დარბაზში გაიმართა პარტიული და საბჭოთა აქტივის საერთო საქალაქო კრება ჟურნალ-გაზეთების, გამომცემლობათა და პოლიგრაფიულ საწარმოთა მუშაკებთან ერთად, მიძღვნილი პრესის დღისადმი.

კრება გახსნა საქართველოს კომპარტიის თბილისის კომიტეტის მდივანმა ამხ. ნ. ჭახრაკიამ.

მოხსენება პრესის დღის შესახებ გააკეთა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პროპაგანდისა და აგიტაციის განყოფილების გამგემ ამხ. ნ. ჯაშმა. საბჭოთა პრესის დღესასწაული აღინიშნება დიდი ოქტომბრის მე-40 წლისთავისათვის საყოველთაო-სახალხო მზადების ღირსშესანიშნავ დღეებში. კომუნისტური პარტია მუდამ უდიდეს მნიშვნელობას ანიჭებდა გაზეთებს, პრესას, იჩენდა და იჩენს დაუცხრომელ ზრუნვას მისთვის. ვ. ი. ლენინს არაერთგზის ხაზგასმით აღუნიშნავს გაზეთის პირველხარისხოვანი როლი მასების იდეურ აღზრდაში, მათს დარაზმვასა და ორგანიზაციაში, სოციალისტური მშენებლობის პრაქტიკული ამოცანების განხორციელებაში.

საბჭოთა პრესის მთელი საქმიანობა ახლა მიმართულია იმისაკენ, რომ იბრძოლოს საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XX ყრილობის ისტორიულ გადაწყვეტილებათა წარმატებით შესრულებისათვის. ამ საქმეში დიდი და პასუხსაგები ამოცანები უნდა გადაჭრას ჩვენი რესპუბლიკის პრესამ.

კრებაზე მისალმებით გამოვიდნენ კამვოლ-მაუდის კომბინატის მუშა ქალი ამხ. ე. ალავიძე, ი. ბ. სტალინის სახელობის ორთქლმავალ-ვაგონშემკეთებელი ქარხნის ელექტრომონტიორი ამხ. დ. ლეჟავა, ძველი მუშკორი ნ. იტრიევი, რესპუბლიკის ცენტრალური კლინიკური საავადმყოფოს ექიმი ამხ. ნ. თურმანიძე. ისინი ლაპარაკობდნენ, რომ მშრომელებს უყვართ თავიანთი პრესა, რომელიც აქტიურად იბრძვის ჩვენს ქვეყანაში კომუნიზმის გამარჯვებისათვის, გამოთქვეს მთელი რიგი სურვილები რესპუბლიკის გაზეთების მუშაობის შესახებ.

კრების დასასრულს გაიმართა კონცერტი. (საქდესი).

## სსრ კავშირის მშენებლობისა და არქიტექტურის აკადემიის ახალი წევრები

სსრ კავშირის მშენებლობისა და არქიტექტურის აკადემიის ნამდვილ და საპატიო წევრთა საერთო კრებამ, რომელიც ამას წინათ გაიმართა მოსკოვში, აირჩია აკადემიის 27 ნამდვილი წევრი და 416 წევრი-კორესპონდენტი.

სსრ კავშირის მშენებლობისა და არქიტექტურის აკადემიის ნამდვილ წევრად „არქიტექტურის" სპეციალობაში არჩეულია ა. გ. ქურდიანი.

სსრ კავშირის მშენებლობისა და არქიტექტურის აკადემიის წევრ-კორესპონდენტებად სპეციალობაში „ნაგებობის თეორია და სამშენებლო ფიზიკა" არჩეულია ო. დ. ონიაშვილი, სპეციალობაში „რკინაბეტონი და სამშენებლო კონსტრუქციები" — მ. ი. დანდუროვი, სპეციალობაში „არქიტექტურა" — მ. კ. შავიშვილი. (საქდესი).

## საგაზაფხულო თესვა საკოლმეურნეო მინდვრებში

საქართველოს საკოლმეურნეო მინდვრებში გაჩაღებულია საგაზაფხულო კულტურების თესვა. მთელი რიგი რაიონების კოლმეურნეობებმა წარმატებით შეასრულეს დიდი ოქტომბრის მე-40 წლისთავის აღსანიშნავ შეჯიბრებაში ნაკისრი ვალდებულებანი თესვის ვადამდე დამთავრების შესახებ და გეგმის გადამეტებით სხვადასხვა კულტურისათვის აითვისეს დიდი ფართობები.

1 მაისისათვის გურჯაანის რაიონის კოლმეურნეობებმა საგაზაფხულო კულტურების თესვის გეგმა შეასრულეს 101,6 პროცენტით, სიღნაღის — 102,6 პროცენტით, წითელწყაროს — 103,2 პროცენტით, ახმეტის — 102,8 პროცენტით, გარეუბნის — 104,4 პროცენტით, დმანისის — 108,1 პროცენტით.

მალე დაამთავრებენ თესვას საგარეჯოს, კასპის, ყვარლისა და მთელი რიგი სხვა რაიონების კოლმეურნეობანი. (საქდესი).

# საქართველოს სსრ მრეწველობისა და მშენებლობის ხელმძღვანელობის შემდგომი სრულყოფისათვის

★ ★ ★

## კომუნისტთა მაღალი აქტივობის ვითარებაში

მრეწველობისა და მშენებლობის მართვის ორგანიზაციის შემდგომი სრულყოფის შესახებ ამხ. ნ. ს. ხრუშჩოვის მოხსენების თეზისების განხილვასთან დაკავშირებით რუსთავის ცემენტის ქარხანაში ფართოდ გაჩაღდა სააგიტაციო მუშაობა. ჩვენი საწარმოს აგიტატორებმა რ. მსუქნიშვილმა, რ. მამალაძემ, ნ. სკრიპნიკოვამ და სხვებმა მეცემენტეებს ღრმად განუმარტეს უდიდესი ისტორიული მნიშვნელობა მოხსენების თეზისებში დასახული ღონისძიებებისა, რომლებიც ცხოვრებით არის ნაკარნახევი და ჩვენი ქვეყნის მომწიფებულ საჭიროებებს შეესაბამება.

საქარხნო კედლის გაზეთმა „მეცემენტემ" გამოაქვეყნა ეკონომისტის თ. ლორთქიფანიძის, კომკავშირის კომიტეტის მდივნის თ. სუხიშვილის, ქარხნის ცენტრალური ლაბორატორიის გამგის ნ. ტურაბელიძისა და სხვათა წერილები. ამ წერილებში საწარმოს ცხოვრებიდან აღებული ფაქტების საფუძველზე დასაბუთებულია მრეწველობის მართვის ორგანიზაციული ფორმის შემდგომი გაუმჯობესების აუცილებლობა და მისი დიდი მნიშვნელობა არსებული საწარმოო სიმძლავრეების, მატერიალური და შრომითი რესურსების უფრო მიზანშეწონილად გამოყენების საქმეში.

ქარხნის პარტიული ორგანიზაცია გულდასმით სწავლობს და აგროვებს მეცემენტეთა წინადადებებს. ინჟინერ-ტექნიკოსებთან ერთად კონკრეტულ წინადადებათა წამოყენებაში აქტიური მონაწილეობა მიიღეს რიგითმა მუშებმა. მაგალითად, დამფქველი საამქროს წისქვილების მემანქანემ ა. დევსურაშვილმა წინადადება წამოაყენა ლითონის საფქავი ბურთულები შორეული ქალაქებიდან აღარ შემოვიტანოთ და ადგილზევე, რუსთავის მექანიკურ ქარხანას დავამზადებინოთ.

ცემენტის ქარხნის კოლექტივი, პარტიისა და მთავრობის დიდმნიშვნელოვანი ღონისძიებებით აღფრთოვანებული, უკანასკნელ ხანს საწარმოო გეგმებს სისტემატურად გადაჭარბებით ასრულებს. ყველა საამქროში და უბანზე ამაღლდა კომუნისტთა ავანგარდული როლი. განსაკუთრებით გამოირჩევიან კომუნისტები — ნედლეულის საამქროს ცვლის უფროსი ტ. კუხიანიძე, დამხვევი ე. სიდარუკი, კომკავშირელი მემანქანე ნ. კოვალიოვა და სხვები. საწარმოს კოლექტივი სულ უფრო ფართოდ აჩაღებს დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის მე-40 წლისთავის აღსანიშნავ სოციალისტურ შეჯიბრებას და იბრძვის იმისათვის, რომ ვადამდე შეასრულ ს 6 თვის გეგმა.

**ლ. სოსელია,**
რუსთავის ცემენტის ქარხნის პირველადი პარტორგანიზაციის მდივანი.

## გავაერთიანოთ წვრილი ავტოსატრანსპორტო მეურნეობები

ამხ. ნ. ს. ხრუშჩოვის მოხსენების თეზისების საყოველთაო-სახალხო განხილვის დროს ტყვარჩელის ავტოტრანსპორტის მუშაკებს შორის წარმოიშვა აზრი, რომ წვრილი ავტოსატრანსპორტო მეურნეობები გაერთიანებულ იქნან ერთ მსხვილ და მძლავრ ავტოსატრანსპორტო მეურნეობად, რომელიც მომსახურებას გაუწევს მოცემული ქალაქისა თუ საწარმოო რაიონის მთელ მოთხოვნილებას ე. წ. მძიმე ავტოტრანსპორტით.

ამ წინადადების მიზანშეწონილობის ცხადსაყოფად აღვნიშნავთ, რომ ტყვარჩელში ამჟამად არსებობს სამი ავტოსატრანსპორტო ბაზა. ერთი ბაზა ეკუთვნის საქართველოს სსრ საავტომობილო ტრანსპორტის სამინისტროს, მეორე — ტყვარჩელქვანახშირის ტრესტს, ხოლო მესამე ბაზა — ტყვარჩელშახტმშენს. გარდა ამისა, ტყვარჩელში მრავალი გარაჟია. ცალკე გარაჟი აქვს სანტექმონტაჟის სამმართველოს, მუშათა მომარაგების სამმართველოს და სხვა დაწესებულებებს, რომლებსაც ამ გარაჟებში მუშაკთა შტატიც ჰყავთ.

ჩვენ ვაყენებთ წინადადებას, რომ არა მარტო ტყვარჩელში, არამედ სხვა ასეთსავე ქალაქებსა და სამრეწველო ცენტრებშიც გავაერთიანოთ წვრილი ავტოსატრანსპორტო მეურნეობები ერთ მსხვილ მეურნეობად, ამასთან გავაერთიანოთ ამ მეურნეობათა სარემონტო ბაზები, რაც დიდ ეკონომიას მოგვცემს. ცალკე ერთეულად შეიძლება დავტოვოთ მხოლოდ საავტობუსო და ტაქსიმოტორული ტრანსპორტი, რომელიც მომსახურებას უწევს მოსახლეობას.

**შ. აბუშაძე,**
ტყვარჩელის ავტოსატრანსპორტო კანტორის უფროსი.

## გამოუყენებელი სიმდიდრე

მრეწველობისა და მშენებლობის მართვის ახალ ფორმებზე გადასვლა საბჭოთა ხალხის დიდ მოწონებას იწვევს იმიტომაც, რომ ამით ბოლო მოეღება ადგილობრივი რეზერვების გამოყენების შეუფასებლობას, აღარ ექნება ადგილი ისეთ მოვლენებს, როგორსაც დღემდე ჰქონდა, თუნდაც მარტო ჩვენთან — ინგურის ქაღალდ-ცელულოზის კომბინატში.

ჩვენს კომბინატში ცელულოზის ხარშვისას ვიღებთ დიდძალ ნარჩენს — ტუტეს, საიდანაც შეიძლება სპირტის გამოხდა. მაგრამ ამისათვის საჭიროა სპეციალური მოწყობილობა და პატარა შენობა, სადაც ეს მოწყობილობა უნდა მოთავსდეს. მიუხედავად იმისა, რომ სპირტსახდელის მოწყობის შესახებ მრავალჯერ აღვძარით საკითხი, არაფერი გამოვიდა, სათანადო თანხა სამინისტრომ არ მოგვცა და ტუტეს დღემდე ინგურის ტალღებს ვატანდით, თუმცა ტუტიდან სპირტის გამოხდით სახელმწიფოს ათეულ და ასეულ ათასობით მანეთი შემოსავალი ექნებოდა.

ცელულოზის ქარხანაში სხვა ნარჩენებიც დიდი რაოდენობით გროვდება. შეიძლებოდა ამ ნარჩენებიდან საქონლის საკვები კონცენტრატების დამზადება, მაგრამ სათანადო მოწყობილობა არა გვაქვს და ამიტომ ეს ნარჩენებიც წყალს მიაქვს.

ვფიქრობ, მრეწველობის მართვის რეორგანიზაციის შემდეგ ასეთ მოვლენებს აღარ ექნება ადგილი, სახალხო ქონებას წყალს აღარ გავატანთ.

**ა. სიდორჩუკი,**
ინგურის ქაღალდ-ცელულოზის კომბინატის ზეინკალი.

## საჭიროა მაღაზია-საწყობების ქსელი

ტყიბულის საწარმოთა ხელმძღვანელებს, მათ შორის ტყიბულის ქვანახშირის გამამდიდრებელი ფაბრიკის წარმომადგენლებს, საშუალება არა გვაქვს სახელმწიფო სავაჭრო ქსელში შევიძინოთ ჩვენთვის უაღრესად საჭირო მასალა ან ხელსაწყო, ვინაიდან საამისოდ თანხას ბანკი არ გვაძლევს. ამავე დროს აწ გადაუდებლად საჭირო მასალის მომარაგება ხშირად ჭიანურდება და ამით საწარმოს მუშაობაც ფერხდება.

საჭიროა საწარმოთა დირექტორებს მივცეთ უფლება შეიძინონ სახელმწიფო სავაჭრო ქსელში ის მასალები და დეტალები, რომლებსაც მომარაგების წესით ვერ იღებენ, მაშინ როცა ეს მასალები და დეტალები სავაჭრო ქსელში უხვად არის.

**ლ. მესარქიშვილი,**
ტყიბულქვანახშირის ტრესტის ქვანახშირის გამამდიდრებელი ფაბრიკის დირექტორი.

# მშრომელთა წინადადებები

## რედაქციაში შემოსული წერილების მიმოხილვა

უკვე თვეზე მეტია გრძელდება მრეწველობისა და მშენებლობის მართვის ორგანიზაციის შემდგომი სრულყოფის შესახებ ამხ. ნ. ს. ხრუშჩოვის მოხსენების თეზისების საყოველთაო განხილვა. ამ ხნის განმავლობაში რედაქციამ მიიღო ასობით წერილი, სადაც ავტორები — მუშები, ინჟინრები, საწარმოთა ხელმძღვანელები, მოსამსახურეები მრავალ მნიშვნელოვან და ძვირფას წინადადებას აყენებენ.

ინჟინერ ვ. ნიქაბაძის წინადადება შემოაქვს გაუქმდეს „საქჰიდროენერგომშენის", „საქელექტროქსელმშენის", „საქსოფლელექტრომშენისა" და „ჰიდრომონტაჟმშენის" ტრესტები და მათ ბაზაზე საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის საბჭოსთან შეიქმნას ჰიდროელექტრომშენებლობის მთავარი სამმართველო. ავტორი აყენებს აგრეთვე საკითხს ერთ ორგანიზაციად გაერთიანდეს ჰიდროელექტროსადგურთა დაპროექტების სრულიად საკავშირო გაერთიანების თბილისის განყოფილება, „სოფლელექტროპროექტისა" და „ჰიდროელექტრომონტაჟპროექტის" ინსტიტუტები და დაუქვემდებარდეს ეს ორგანიზაცია ჰიდროენერგომშენებლობის მთავარ სამმართველოს.

საინტერესო საკითხს აყენებს ინჟინერი ვ. არევაძე.

— არის ერთი მეტად სერიოზული გარემოება, — წერს იგი, — რომელიც მართვის ახალი ფორმების შემუშავებისას უსათუოდ მხედველობაში უნდა იქნას მიღებული. სახელდობრ, უნდა დაარსდეს ინდივიდუალური ბინათმშენებლობის რესპუბლიკური ტრესტი, რომელიც ინდივიდუალურ ბინათმშენებლებს დაეხმარება იმაში, რომ სწრაფად და ხარისხიანად აწარმოონ მშენებლობა. ეს ღონისძიება განსაკუთრებით მნიშვნელოვანია იმდენად, რამდენადაც ამჟამად რესპუბლიკაში ბინების დიდი ნაკლებობაა და ამავე დროს ინდივიდუალური ბინათმშენებლობა პრიმიტიული მეთოდებით წარმოებს.

საკოლმეურნეო მშენებლობისადმი ხელმძღვანელობის გაუმჯობესების საკითხებზე გვწერს მშრომელთა დეპუტატების ცხაკაიას რაისაბჭოს აღმასკომის საკოლმეურნეო მშენებლობის განყოფილების ინჟინერი ბ. თოლორდავა. იგი აღნიშნავს, რომ როგორც დღემდე არსებულმა პრაქტიკამ დაგვანახვა, კოლმეურნეობას 2-3-ჯერ იაფი უჯდება საკოლმეურნეო ობიექტების მშენებლობა, როცა სამუშაოებს საკუთარი სამშენებლო ბრიგადების საშუალებით ასრულებს, ვიდრე მაშინ, როცა მშენებლობას იჯარით ასრულებენ სპეციალური სამშენებლო ორგანიზაციები. ავტორი წინადადებას იძლევა საკოლმეურნეო მშენებლობისადმი ხელმძღვანელობის გაუმჯობესების მიზნით სახალხო მეურნეობის საბჭოსთან შეიქმნას საკოლმეურნეო მშენებლობის სამმართველო, რომელსაც დაუქვემდებარდება რაიონულ საბჭოებთან არსებული საკოლმეურნეო მშენებლობის განყოფილებები.

საქართველოს ნავთობსარეწაო სამმართველოს მთავარი ინჟინერი ე. ვახაძე ილაშქრებს პრესაში გამოქვეყნებული იმ შეხედულების წინააღმდეგ, რომ ნავთობის საძიებო სამუშაოების შესრულება დაეკისროს გეოლოგიურ სამმართველოს. ავტორი აღნიშნავს, რომ ნავთობის საბადოების ძიება სპეციფიკურია და თავისი ხასიათით მკვეთრად განსხვავდება სხვა წიაღისეულის ძიების სამუშაოებისაგან. ამასთან საკითხის ამრიგად გადაწყვეტა ფაქტიურად გამოიწვევს ნავთობის ტრესტის ლიკვიდაციას. ავტორი აყენებს აგრეთვე საკითხს თბილისის სათბობის აპარატურის ქარხნის ნავთობის ტრესტის გამგებლობაში გადაცემის შესახებ.

სათბობის ახალი რესურსების ძიების საკითხს ეხება აგრეთვე ინჟინერ-გეოლოგ ა. ბურჯანაძის წერილი. ავტორი აყენებს საკითხს, რომ შეიქმნას ერთი ტრესტი — „საქნახშირნავთობგაზი", რომელსაც დაევალება ნახშირის, ნავთობისა და გაზის საძიებო სამუშაოთა წარმოება. ავტორის აზრით ძიების ხერხების მსგავსება და მძლავრი ტექნიკური აღჭურვილობა, კადრების სწორად შერჩევისა და განაწილების შემთხვევაში საშუალებას მისცემს ტრესტს მოკლე ვადებში წარმატებით გადაწყვიტოს რესპუბლიკის ადგილობრივი სათბობით უზრუნველყოფის საკითხი.

საკონსერვო და ბოსტნეულის საშრობი მრეწველობის საკავშირო სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტის ბათუმის განყოფილების გამგე გ. ფიშმანი იწონებს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის ამხ. გ. ჯავახიშვილის წერილში გამოთქმულ აზრს ყველა სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტისა და საკონსტრუქტორო ბიუროს უშუალოდ სახალხო მეურნეობის საბჭოს დაქვემდებარებაში გადაცემის შესახებ, ამავე დროს ავტორს შემოაქვს დამატებითი წინადადება: იგი წერს:

„აუცილებელია გათვალისწინებულ იქნას საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომისიასთან ისეთი განყოფილების შექმნა, რომელიც დაგეგმავს და შეათანხმებს მთელ სამეცნიერო-კვლევითს მუშაობას. ამ განყოფილებას საშუალება ექნება თვალყური ადევნოს იმას, რომ რესპუბლიკაში არ ხდებოდეს ისეთი სამეცნიერო თემებისა და პრობლემების დამუშავება, რომლებიც უკვე გადაწყვეტილია ან დამუშავების პროცესშია სხვა რესპუბლიკებში".

საქართველოს სსრ საავტომობილო ტრანსპორტის სამინისტროს საგეგმო-საფინანსო განყოფილების ეკონომისტი გ. ჯულაყიძე არ იზიარებს შეხედულებას, რომ თბილისის საბჭოს აღმასკომთან შეიქმნას ტრანსპორტის სამმართველო, რომელიც უხელმძღვანელებს საქალაქო ტრანსპორტის — ტრამვაის, ტროლეიბუსებისა და ავტობუსების მუშაობას. ავტორის აზრით უმჯობესი იქნება ქალაქის ტრანსპორტისადმი ხელმძღვანელობა დაევალოს სახალხო მეურნეობის საბჭოსთან არსებულ საავტომობილო ტრანსპორტის სამმართველოს, რაც გამოიწვევდა სამმართველოების რიცხვის შემცირებას, მაშასადამე, ხელმძღვანელ მუშაკთა რიცხვის შემცირებას და დიდ თანხებს დაუზოგავდა სახელმწიფოს.

„საქმშენინდუსტრიის" ტრესტის № 2 საწარმოო კომბინატის მთავარი ინჟინერი ა. მიზანდარი გვწერს კომბინატის მუშაობის შემაფერხებელი მიზეზების შესახებ. კომბინატის კოლექტივი ხშირად ვერ ასრულებს ზოგი სახეობის სამშენებლო დეტალებისა და კონსტრუქციების გამოშვების გეგმას. ავტორის შეხედულებით ამის მთავარი მიზეზია არადამაკმაყოფილებელი მომარაგება ნედლეულით, რაც ხშირად უწყებრივი ბარიერების არსებობით არის გამოწვეული. მისი აზრით სამშენებლო ინდუსტრიის საწარმოების ერთ მძლავრ ორგანიზაციად გაერთიანება მკვეთრად გააუმჯობესებს მატერიალური რესურსების რაციონალურად გამოყენებას, ხელს შეუწყობს საწარმოთა გამართულ მუშაობას.

მართვის ახალ ფორმებზე გადასვლის შემდეგ საწარმოთა მატერიალური უზრუნველყოფისა და მზა პროდუქციის გასაღების საკითხებს ეხება თავის წერილში ამხ. გ. წივწივაძე. იგი აღნიშნავს:

„ჩვენი რესპუბლიკის ტერიტორიაზე არსებულ სამრეწველო საწარმოთა მატერიალურ-ტექნიკური მომარაგება, აგრეთვე მათ მიერ გამომუშავებული მზა ნაწარმის გასაღება მიზანშეწონილია განხორციელდეს არა ორი ფუნქციონალური სამმართველოს საშუალებით, არამედ ერთი — მომარაგება-გასაღების სამმართველოს მიერ, რომელიც მატერიალური ფონდების დადგენა-განაწილებას გარდა, მისდამი დაქვემდებარებული დარგების სპეციალიზებული ბაზების საშუალებით მომარაგებას და თანმათი პროდუქციის გასაღებას უხელმძღვანელებს".

# პარტიის მძლავრი იდეური იარაღი

**ნ. ჯაში,**
საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის პროპაგანდისა და აგიტაციის განყოფილების გამგე.

წელს ბეჭდვითი სიტყვის დღე აღინიშნება ღირსშესანიშნავი ისტორიული მოვლენის — დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის მე-40 წლისთავისათვის გაცხოველებული მზადების დღეებში, რევოლუციისა, რომელიც კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით, დიდი ლენინის მეთაურობით განხორციელდა.

თვალსაჩინო როლი დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის მომზადებისა და განხორციელების საქმეში შეასრულა „პრავდამ". „პრავდის" — მასობრივი მარქსისტული მუშური გაზეთის — გამოცემა ახალი ეტაპის მომასწავებელი იყო რუსეთის მუშათა კლასის, საერთაშორისო პროლეტარიატის ბეჭდვითი სიტყვის განვითარებაში. თუ ლენინური „ისკრის" შექმნაში მონაწილეობას იღებდა რამდენიმე ათეული რევოლუციონერი, „პრავდას" უკვე ათობით და ასობით ათასი მუშა ამოუდგა მხარში.

45 წლის წინათ, 1912 წლის 5 მაისს, რუსეთში ახალი რევოლუციური აღმავლობის ვითარებაში გამოვიდა პირველი ნომერი ყოველდღიური მუშური გაზეთის „პრავდისა", რომელიც კომუნისტური პარტიის გენიალური ბელადის, მსოფლიოში პირველი სოციალისტური სახელმწიფოს შემქმნელის ვლადიმერ ილიას-ძე ლენინის მითითებით დაარსდა.

„პრავდა" წმიდად ინახავდა და ავითარებდა პარტიული ბეჭდვითი სიტყვის იმ საბრძოლო ტრადიციებს, რომლებიც ვ. ი. ლენინმა „ისკრის" პერიოდში შეიმუშავა. ბოლშევიკებს მაშინ „პრავდისტებს" უწოდებდნენ. „პრავდის" გარშემო აღიზარდა რევოლუციური პროლეტარიატის მთელი თაობა, რომელმაც დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუცია განახორციელა.

დიდი ოქტომბრის სოციალისტურმა რევოლუციამ მარქსიზმ-ლენინიზმის ყოვლისშძლე დროშით გაიმარჯვა. მან უდიდესი ძალის დარტყმა აგემა ბურჟუაზიულ იდეოლოგიას, განსახიერა პროლეტარული ინტერნაციონალიზმის დიადი პრინციპები, გამარევოლუციურებელი ზეგავლენა მოახდინა ყველა ქვეყნის მშრომელებზე, ახალ საფეხურზე აიყვანა მსოფლიოს მუშათა და ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა.

საბჭოთა ხალხმა კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით სახელოვანი ისტორიული საქმეები განახორციელა. ამჟამად ჩვენი ქვეყნის მშრომელთა წინაშე დასახულია დიადი ამოცანა — შევქმნათ კომუნიზმის მატერიალურ-ტექნიკური ბაზა, ისტორიულად მოკლე ვადაში დავეწიოთ და გავუსწროთ კაპიტალიზმის ყველაზე განვითარებულ ქვეყნებს ერთ სულ მოსახლეზე პროდუქციის წარმოების მხრივ.

სსრ კავშირის მთავარი ეკონომიური ამოცანის, საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XX ყრილობის ისტორიული გადაწყვეტილებების შესრულებაში დაუფასებელია როლი საბჭოთა ბეჭდვითი სიტყვისა, რომელიც ჩვენი პარტიის ყველაზე მძლავრი, ყველაზე ბასრი, ყველაზე შორსმსროლელი იდეური იარაღია. ეს გასაგებიც არის, ვინაიდან საბჭოთა ბეჭდვითი სიტყვა არის არა მარტო კომუნისტური მშენებლობის დიადი საქმის კოლექტიური აგიტატორი, არა მარტო მარქსიზმ-ლენინიზმის ყოვლისშძლე იდეების კოლექტიური პროპაგანდისტი, არამედ აგრეთვე კოლექტიური ორგანიზატორი, რომელიც რაზმავს მასებს პარტიის ლენინური გენერალური ხაზის განხორციელებისათვის საბრძოლველად. საბჭოთა ბეჭდვითი სიტყვის ამ საპატიო როლს განსაზღვრავს მისი ჭეშმარიტად ხალხური ხასიათი, მისი მთავარი მოწოდება ემსახუროს ხალხს, გამოხატოს მისი ფიქრები და მისწრაფებანი, იყოს კომუნისტური მშენებლობის ერთ-ერთი ყველაზე ქმედითი იარაღი.

ბეჭდვითი სიტყვა ჩვენს ქვეყანაში მძლავრ ძალად გაიზარდა. სსრ კავშირში გამოდის 7.200-ზე მეტი გაზეთი. მათი ერთჯერადი ტირაჟი — დაახლოებით 50 მილიონი ეგზემპლარი — 18-ჯერ მეტია ყველა იმ გაზეთის ტირაჟზე, რომლებიც რევოლუციამდელ რუსეთში გამოდიოდა. ჟურნალებისა და სხვა პერიოდული გამოცემების რაოდენობა 1.700 სახელწოდებამდე გაიზარდა. საჟურნალო პროდუქციის წლიური ტირაჟი თითქმის 360 მილიონ ეგზემპლარს შეადგენს.

კომუნისტური პარტიის ლენინური ეროვნული პოლიტიკის განუხრელი განხორციელების მეოხებით წლითიწლობით იზრდება და მტკიცე ხდება ჩვენი რესპუბლიკის ბეჭდვითი სიტყვა. საქართველოში ამჟამად ქართულ, რუსულ, სომხურ, აფხაზურ, ოსურ და აზერბაიჯანულ ენებზე გამოდის 13 რესპუბლიკური, 8 საოლქო, 7 საქალაქო, 71 რაიონული გაზეთი და 21 ჟურნალი, რომელთა წლიური საერთო ტირაჟი 150 მილიონ ეგზემპლარს აღემატება. გამოდის 13 მრავალტირაჟიანი და 5 საუწყებო გაზეთი, ათასობით კედლის გაზეთი. ახლახან იწყო გამოსვლა საკოლმეურნეო ნაბეჭდმა გაზეთებმა მახარაძის, წითელწყაროს, სიღნაღისა და თელავის რაიონების კოლმეურნეობებში.

საბჭოთა კავშირის კომუნისტურმა პარტიამ მილიონობით ადამიანი დარაზმა ისტორიული შემოქმედებისათვის, გახადა ისინი ნამდვილ გმირებად და ახალი ცხოვრების მშენებლებად. მშრომელთა ამ შემოქმედებისა და ინიციატივის ერთ-ერთი მკაფიო გამოვლინება, მშრომელთა საზოგადოებრივი საქმიანობის ერთ-ერთი ფორმაა მუშა და სოფლის კორესპონდენტთა მოძრაობა. ამ შესანიშნავ მოძრაობაში თავის ერთ-ერთ გამოხატულებას პოულობს საბჭოთა ადამიანების პოლიტიკური აქტივობა, მათი მხურვალე ზრუნვა საერთო-სახალხო ინტერესებისათვის. სწორედ ეს ახალისებს მათ ხელი მოჰკიდონ კალამს, გაუზიარონ ერთმანეთს გაზეთის ფურცლებზე თავიანთი აზრი, გამოცდილება, აღნიშნონ ნაკლოვანებები, წამოაყენონ თავიანთი წინადადებანი.

ახალ ეტაპს რესპუბლიკის მუშა და სოფლის კორესპონდენტთა მოძრაობის აღმავლობის გზაზე წარმოადგენდა საქართველოს მუშა და სოფლის კორესპონდენტთა ყრილობა, რომელიც მიმდინარე წლის თებერვალში გაიმართა. ყრილობამ აღნიშნა, რომ, არსებული ძვრების მიუხედავად, ჩვენი რესპუბლიკის ბეჭდვითი სიტყვის მუშაობაში ჯერ კიდევ არის სერიოზული ნაკლოვანებები. გაზეთების ფურცლებზე ზოგჯერ იბეჭდება უსიცოცხლო, უფერული მასალები. რესპუბლიკური, საოლქო, საქალაქო და რაიონული გაზეთები სრულიად არასაკმაოდ ეხმარებიან კედლის გაზეთებს, ცოტას ბეჭდავენ მიმოხილვებს.

ყრილობამ მოუწოდა რესპუბლიკის მუშა და სოფლის კორესპონდენტებს მჭიდროდ დაირაზმონ რაიონული, საქალაქო, საოლქო და რესპუბლიკური გაზეთების რედაქციების გარშემო და იბრძოლონ პარტიის XX ყრილობის გადაწყვეტილებათა განუხრელად განხორციელებისათვის, კიდევ უფრო აქტიურად მოჰკიდონ ხელი მუშაობას, პარტიული ორგანიზაციების ხელმძღვანელობით შექმნან ქარხნებსა და ფაბრიკებში, კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში, მანქანა-ტრაქტორთა სადგურებში, სამშენებლო ორგანიზაციებში, სამეცნიერო, სასწავლო და კულტურულ დაწესებულებებში კორესპონდენტთა საგუშაგოები, ბრიგადები, პერიოდულად მოაწყონ მუშა და სოფლის კორესპონდენტთა რეიდები.

ჩვენი გაზეთების რედაქციები, მუშა და სოფლის კორესპონდენტთა არმია შეუდგა მუშა და სოფლის კორესპონდენტთა ყრილობის ამ მოწოდებების განხორციელებას.

მაგრამ ეს მხოლოდ პირველი ნაბიჯია იმისათვის, რომ ავამაღლოთ მუშა და სოფლის კორესპონდენტთა მოძრაობა პარტიის მიერ დასახული ამოცანების დონემდე. პარტიულ კომიტეტებს, ჩვენი გაზეთების რედაქციებს დიდი მუშაობა მართებთ იმისათვის, რომ ყოველი ღონისძიებით განავითარონ მუშა და სოფლის კორესპონდენტთა სახელოვანი მოძრაობა.

პარტიის XX ყრილობის ისტორიულ გადაწყვეტილებებს, საბჭოთა ხალხის კეთილდღეობის ამაღლებისათვის პარტიისა და მთავრობის ყოველდღიურ ზრუნვას ჩვენი ქვეყნის მშრომელები უპასუხებენ საწარმოო და პოლიტიკური აქტივობის გაძლიერებით. ფაბრიკებსა და ქარხნებში, კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში ახალი ძალით ჩაღდება სოციალისტური შეჯიბრება მეექვსე ხუთწლედის მეორე წლის დავალებების ვადამდე და გადაჭარბებით შესრულებისათვის, დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 40 წლისთავის ღირსეულად შეხვედრისათვის.

მშობლიური კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის მიერ ხალხის წინაშე დასახული ამოცანების წარმატებით განხორციელების საქმეში დიდი როლი ეკისრება პრესას.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XX ყრილობაზე ხაზგასმით აღინიშნა, რომ განსაკუთრებული ყურადღება უნდა დაეთმოს ბეჭდვითი სიტყვის როლის შემდგომ გაძლიერებას მთელ იდეურ-პოლიტიკურ და ორგანიზატორულ მუშაობაში. ამისათვის საჭიროა გადაჭრით დავძლიოთ ისეთი ნაკლოვანებანი ჩვენი გაზეთების მუშაობაში, როგორიც არის უფერულობა და ზერელე მიდგომა ცხოვრების გაშუქებისადმი, შტამპი, ზოგადი მსჯელობა.

მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ გამოვიჩენთ მაქსიმალურ კონკრეტულობას ადგილობრივი გამოცდილების შესწავლაში, ღრმად ჩავწვდებით ცხოვრებას და ყოველდღიურად გავზრდით მოწინავე გამოცდილების პროპაგანდას, ჩვენი პრესა დაეხმარება პარტიას და ხალხს [illegible] ის [illegible], რომლებიც სახალხო მეურნეობის ყველა დარგში მოიპოვება.

პარტიის XX ყრილობაზე ბეჭდვითი სიტყვის მისამართით გამოითქვა სამართლიანი კრიტიკული შენიშვნა — აქებს რა იმათ, ვინც მაღალ ვალდებულებებს კისრულობს, პრესა ხშირად არაფერს ამბობს, როცა ამ ვალდებულებების შესრულება იფუშება. ამ კრიტიკიდან რესპუბლიკური პრესის მუშაკებმა გააკეთეს დასკვნები, მოაწყეს კონტროლი ნაკისრი ვალდებულებების შესრულებისადმი. მაგრამ უკანასკნელ დროს ეს კონტროლი ერთგვარად შენელდა.

როგორც ცნობილია, მიმდინარე წლის თებერვლის დამლევს თბილისში გაიმართა სოფლის მეურნეობის მუშაკთა რესპუბლიკური თათბირი, რომელზეც ერთხმად იქნა მიღებული მიმართვა ყველა კოლმეურნის, მტს-ებისა და საბჭოთა მეურნეობების მუშების, სპეციალისტებისა და სოფლის მეურნეობის ყველა მუშაკისადმი. თათბირმა საჭიროდ ცნო გაჩაღდეს სოციალისტური შეჯიბრება სასოფლო-სამეურნეო წარმოების მკვეთრად გაუმჯობესების და დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის მე-40 წლისთავის ღირსეულად შეხვედრისათვის, გაგრძელდეს სოციალისტური შეჯიბრება მოძმე აზერბაიჯანის სოფლის მეურნეობის მუშაკებთან და ყველა ღონისძიება იქნას მიღებული იმისათვის, რომ 1957 წელი გახდეს გარდატეხის წელი სოფლის მეურნეობის ყველა დარგის შემდგომ განვითარებაში. საჭიროა აღინიშნოს, რომ ჩვენი გაზეთები ჯერჯერობით ცოტას მუშაობენ იმისათვის, რომ დარაზმონ რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის მშრომელები ნაკისრი ვალდებულებების წარმატებით შესრულებისათვის საბრძოლველად.

საბჭოთა ბეჭდვითი სიტყვა მილიონების ტრიბუნაა, მასების ტრიბუნაა. მშრომელთა ფართო მასებთან ბეჭდვითი სიტყვის უმჭიდროესი, მუდამ მზარდი კავშირის მკაფიო დადასტურებაა ის, რომ მთელ ჩვენს ქვეყანაში ფართოდ გაჩაღდა მრეწველობისა და მშენებლობის მართვის ორგანიზაციის შემდგომი სრულყოფის შესახებ ამხ. ნ. ს. ხრუშჩოვის მოხსენების თეზისების განხილვა. ამ განხილვაში აქტიურად ჩაებნენ ჩვენი რესპუბლიკის გაზეთები, რომლებმაც უკანასკნელი ერთი თვის განმავლობაში აღნიშნულ საკითხზე გამოაქვეყნეს 1.500-ზე მეტი სტატია, კორესპონდენცია, წერილი. გამოქვეყნებულ მასალებში წამოყენებულია მრავალი წინადადება საქართველოს სსრ რესპუბლიკაში მრეწველობისა და მშენებლობის მართვის ორგანიზაციის შემდგომი სრულყოფის შესახებ. თეზისების განხილვის საყოველთაო-სახალხო ხასიათში, იმ როლში, რასაც ამ განხილვაში ჩვენი ბეჭდვითი სიტყვა ასრულებს, მკაფიოდ ვლინდება საბჭოთა საზოგადოებრივი წყობილების სოციალისტური დემოკრატიზმი.

ჩვენი გაზეთების ძალა პარტიულ ხელმძღვანელობაშია. ბეჭდვითი სიტყვა პარტიის ხელში მასების კომუნისტური აღზრდის, მარქსიზმ-ლენინიზმის დიადი იდეების პროპაგანდის, მტრული ბურჟუაზიული იდეოლოგიის მხილების მძლავრი საშუალებაა.

ჩვენი ბეჭდვითი სიტყვა ხალხთა ურღვევი, ძმური მეგობრობის პროპაგანდის მასობრივი ტრიბუნაა, და ამიტომ მისი უმნიშვნელოვანესი ამოცანაა დაუცხრომლად განუმარტოს მშრომელებს პარტიის პოლიტიკა, რაც საბჭოთა საზოგადოების სასიცოცხლო საფუძველს წარმოადგენს, სისტემატურად გამოაქვეყნოს სტატიები მუშათა კლასისა და გლეხობის ურღვევი კავშირის შესახებ, ლენინური ეროვნული პოლიტიკის შესახებ, ყოველდღიურად განუმარტოს მასებს პარტიისა და მთავრობის გადაწყვეტილებათა აზრი და მნიშვნელობა, დარაზმოს მშრომელნი ქვეყნის წინაშე დასახული ამოცანების წარმატებით შესრულებისათვის. ჩვენი ბეჭდვითი პროპაგანდა უნდა იყოს ცოცხალი, ქმედითი, შემტევი, აიარაღებდეს კადრებს, ყველა მშრომელს პარტიის საქმისათვის აქტიურად საბრძოლველად.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტი მუდამ მოითხოვს ადგილობრივი პარტიული ორგანიზაციებისაგან, რომ ისინი ყოველდღიურად, ღრმად და საქმის ცოდნით უძღვებოდნენ თავიანთი ბეჭდვითი ორგანოების საქმიანობას, ღრმად სწვდებოდნენ გაზეთების მუშაობას, უწევდნენ მათ აუცილებელ დახმარებას, უფრო მტკიცედ და ენერგიულად უჭერდნენ მხარს გაზეთების კრიტიკულ გამოსვლებს, კონკრეტულ მიმართულებას აძლევდნენ მათს მუშაობას.

ეჭვი არ არის, რომ ჩვენი რესპუბლიკის პრესა პარტიული ორგანიზაციების ყოველდღიური ხელმძღვანელობითა და დახმარებით ახალ წარმატებებს მოიპოვებს და ჭეშმარიტად გაამართლებს მასების კოლექტიური აგიტატორის, კოლექტიური პროპაგანდისტისა და კოლექტიური ორგანიზატორის მაღალ და საპატიო წოდებას.

## პირველი მონოტიპი თბილისში

მონოტიპი — პოლიგრაფიული ტექნიკის ყველაზე მოხერხებული მექანიზმია, რომელიც დიდ გამოყენებას პოულობს სტამბებში წიგნებისა და ჟურნალ-გაზეთების აწყობისას. ამ მანქანაზე ტექსტის აწყობა ხდება არა სტრიქონებად, როგორც ეს ლინოტიპზეა, არამედ სათითაოდ ფრაზის და სიტყვის შემადგენელი ასოების მიხედვით. ამიტომ მონოტიპით ტექსტში შესწორებათა შეტანა (კორექტურა) ბევრად გაადვილებულია და აწყობის ტემპიც ბევრად დაჩქარებული.

მაგალითად, თუ საშუალო კვალიფიკაციის მელინოტიპე მუშა ერთ სამუშაო დღეში ლინოტიპით ერთ ფორმა მასალას (40.000 ნიშანს) აწყობს, მონოტიპით იგივე მუშა იმავე დროში უზრუნველყოფს ორი ფორმა ტექსტუალური მასალის აწყობას.

თბილისში ასეთი მონოტიპი არის პირველ სტამბაში. მანქანის აწყობასა და სრულყოფილად ათვისებაში აქტიური მონაწილეობა მიიღეს ადგილობრივმა ასოთამწყობებმა ნ. პროხოროვმა და ა. ნადარეიშვილმა.

# მაღლა გვეჭიროს მარქსიზმ-ლენინიზმის უძლეველი დროშა, ღირსეულად შევასრულოთ კოლექტიური პროპაგანდისტის, აგიტატორისა და მასების ორგანიზატორის როლი

★

## ჩემი სურვილი

საბჭოთა პრესამ სამართლიანად დაიმსახურა ჩვენი ხალხის გულწრფელი სიყვარული და პატივისცემა. იგი ყოველი ახალი, კეთილშობილური თაოსნობის წამომწყებია, მასების კოლექტიური აგიტატორი, პროპაგანდისტი და ორგანიზატორია, პარტიის ყველაზე ბასრი და შორს მსროლელი იარაღია, რომელიც ადამიანებს რაზმავს კომუნიზმის მშენებლობისათვის.

მაღაროელებს მხურვალედ, მთელი გულით გვიყვარს გაზეთი „კომუნისტი“. ჩვენი სურვილია გაზეთმა მეტი ყურადღება დაუთმოს მრეწველობისა და მშენებლობის მართვის საკითხებს, გაბედულად უჩვენოს როგორც დადებითი, ისე ჩრდილოვანი მხარეები. მან უკეთ უნდა გააშუქოს ჭიათურელ მაღაროელთა თავდადებული შრომა, ყოფაცხოვრება, ავკარგი.

ხალხთა მეგობრობა გაზეთის განუყრელი და კეთილშობილური თემაა. ჩვენ ტრადიციული მეგობრობა — შეჯიბრება გვაკავშირებს ნიკოპოლელ თანამოძმეებთან. ცოდვა გამხელილი სჯობს. ამ საქმეს ვერც ადგილობრივი ორგანიზაციები ხელმძღვანელობენ სათანადოდ და გაზეთიც მკრთალად აშუქებს. ეს მდგომარეობა აუცილებლად უნდა გამოსწორდეს.

საბჭოთა ადამიანები მაღალი მორალური თვისებებით გამოირჩევიან, და ეს ბუნებრივი და გასაგებია. მაგრამ, სამწუხაროდ, ჩვენ კვლავ გვხვდება ადამიანთა შეგნებაში კაპიტალიზმის წყეული გადმონაშთები, რომლებიც ხელს უშლის ჩვენს წინსვლას. კარგი იქნება, თუ გაზეთი გააძლიერებს ბრძოლას ამ მავნე გადმონაშთების, მისი მატარებლების წინააღმდეგ, ამხილებს და თავის ფურცლებზე გამოიტანს მათ.

აი ჩემი მცირე სურვილი გაზეთ „კომუნისტს“.

**ტ. ღონღაძე,**

ჭიათურის მარგანეცის ტრესტის ი. ბ. სტალინის სახელობის მაღაროს მოწინავე მებიგე.

★ ★

## რაზე ვიმუშავებთ

საქართველოს სსრ მუშსოფლკორთა ყრილობის შემდეგ რედაქციის კოლექტივმა, ანალიზი გაუკეთა რა თავის საქმიანობას, დასახა მთელი რიგი ღონისძიებები მუშაობის გასაუმჯობესებლად. იგი მთელ თავის ძალასა და ენერგიას ახმარს იმას, რომ კორესპონდენტთა ფართო ქსელის მეშვეობით აამაღლოს თავისი მუშაობა იმ ახალი ამოცანების დონემდე, რომლებსაც თანამედროვე ვითარება გვიკარნახებს.

რა ახალი ამოცანები დავისახეთ მიმდინარე წელს? რა თემების დამუშავება აქვს განზრახული ჩვენი გაზეთის კოლექტივს?

ჩვენი მთავარი ამოცანაა ვაჩვენოთ, თუ როგორ მიმდინარეობს ქალაქის მრეწველობისა და მშენებლობის ხელმძღვანელობის გარდაქმნა ამხ. ნ. ს. ხრუშჩოვის მოხსენების თეზისების შესაბამისად, როგორ ხორციელდება მრეწველობისა და მშენებლობის მართვის სრულყოფა, როგორია ახლებურად მუშაობის პირველი საგულისხმო გამოცდილება, ხომ არ არის ბიუროკრატიზმის რეციდივები, — აი ის საკითხები, რომლებსაც ჩვენს გაზეთში დიდი ადგილი დაეთმობა უახლოეს დღეებში.

წინათ ჩვენი გაზეთი ფართოდ აშუქებდა ამიერკავკასიის უმნიშვნელოვანესი ინდუსტრიული ცენტრების — ქუთაისის, კიროვაბადის, ლენინაკანის მშრომელთა სოციალისტური შეჯიბრების მსვლელობას. განზრახული გვაქვს წელს კიდევ უფრო მკაფიოდ ვაჩვენოთ ამ ტრადიციული შეჯიბრების მიმდინარეობა.

ჩვენ გადაწყვეტილი გვაქვს დაკვირვებული, ღრმა ანალიზის საფუძველზე ვაჩვენოთ პროპაგანდისა და პოლიტიკური აგიტაციის ქმედითობა, მჭიდროდ დავუკავშიროთ იდეოლოგიური მუშაობა ცხოვრებასა და თანამედროვეობას — ასეთია ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ამოცანა, რომელსაც ჩვენ ვისახავთ.

მრეწველობის სხვადასხვა დარგში მომუშავე ავტორთა აქტივის ზონალური თათბირების სისტემატურად ჩატარება, ჩვენი აქტივის მონაწილეობა რედაქციის მუშაობის თემატური გეგმების განხილვაში, მუშკორის კაბინეტის მოწყობა, კედლის გაზეთების მიმოხილვის მუდმივი განყოფილების შემოღება, გაზეთის სიგნალების ქმედითობის შესამოწმებლად რეიდების მოწყობა — ასეთია დაახლოებით ის ღონისძიებანი, რომლებიც რედაქციას დასახული აქვს მკითხველებთან კავშირის გასაძლიერებლად.

**ვ. ლალიაშვილი,**

გაზეთ „კუტაისსკაია პრავდის“ რედაქტორი.

## საოქტომბრო შეჯიბრება—ყურადღების ცენტრში

**სოციალისტური შეჯიბრება, რომელიც ჩვენს ქვეყანაში შესანიშნავ ტრადიციად იქცა, განსაკუთრებული ძალით გაჩაღდა დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის მე-40 წლისთავის აღსანიშნავად.**

**სიამაყეს გვგვრის ის ფაქტი, რომ ჩვენი ქარხნის მეტალურგები რესპუბლიკაში საოქტომბრო სოციალისტური შეჯიბრების ინიციატორად გამოვიდნენ. ქარხანაში ერთ-ერთი წამყვანი ადგილი უჭირავს საგლინავი საამქროს მრავალრიცხოვან კოლექტივს.**

**საამქროს კედლის გაზეთ „მგლინავის“ სარედაქციო კოლეგიამ თავიდანვე მიზნად დაისახა უნარიანად ჩასდგომოდა სათავეში სოციალისტურ შეჯიბრებას. თებერვლის ნომერში ამ საკითხს მივუძღვენით მოწინავე სათაურით: „რუსთავის მეტალურგთა მოწოდებანი“. აქვე თვალსაჩინო ადგილას გამოვაქვეყნეთ საგლინავი საამქროს კოლექტივის საოქტომბრო ვალდებულებანი. მომდევნო ნომრებში ვაქვეყნებდით ნაკისრ ვალდებულებათა შესრულების მიმდინარეობას.**

**ყურადღებას ვამახვილებთ საწარმოს ნაკლოვან მხარეებზე, ჯერ კიდევ მოუწესრიგებელი საკითხების ოპერატიულად მოგვარების საჭიროებაზე. თებერვლისა და მარტის ნომრებში გამოქვეყნდა ელექტრიკოსთა ბრიგადირის დ. გოგობერიშვილის, ტექნიკური კონტროლის განყოფილების უფროსის ა. ონიაშვილის, დგან 900-ის უფროსი ოსტატის ვ. ჩელიადინის, მექანიკოს ე. ოთარიანის, ოსტატ ელექტრიკოსის ბ. ლიპატოვის, ზეინკალთა ბრიგადირის ნ. საგუნისა და სხვათა წერილები, რომლებშიც მხილებული იყო საწარმოს მუშაობაში არსებული სერიოზული ხარვეზები.**

**სოციალისტური შეჯიბრების საკითხების სრულყოფილად გაშუქებისათვის განზრახული გვაქვს მომავალში კედლის გაზეთის ფურცლებზე უფრო ფართო ადგილი დავუთმოთ წარმოების მოწინავეთა გამოცდილების პროპაგანდას, ცალკეული ბრიგადებისა და ინდივიდუალური სოციალისტური შეჯიბრების შედეგების ჩვენებას, აგრეთვე სოციალისტური შეჯიბრებისადმი პარტიული, კომკავშირული, პროფკავშირული ორგანიზაციების ხელმძღვანელობის გაშუქებას, რასაც დღემდე შედარებით ნაკლები ყურადღება ექცეოდა.**

**ერთგვარ წარმატებათა მიუხედავად, ჯერ კიდევ წარმოების ყველა რეზერვი როდი გვაქვს ამოქმედებული. ამაში კიდევ უფრო ნათლად დავრწმუნდით მრეწველობისა და მშენებლობის მართვის ორგანიზაციის შემდგომი სრულყოფის შესახებ ამხ. ხრუშჩოვის მოხსენების თეზისების გულდასმით გაცნობის შემდეგ. თეზისების განხილვას აპრილში სპეციალური ნომერი მივუძღვენით, გაზეთში გამოვაქვეყნეთ მგლინავთა კონკრეტული წინადადებანი.**

**დარწმუნებული ვართ, რომ უწყვეტივი ბარიერების გაუქმება, საამქროს საწარმოო სიმძლავრის, მატერიალური და შრომითი რესურსების უფრო მიზანშეწონილად გამოყენება კიდევ უფრო გაზრდის მგლინავთა შრომით წარმატებებს.**

**ა. კოჩახიძე,**

ამიერკავკასიის ი. ბ. სტალინის სახელობის მეტალურგიული ქარხნის საგლინავი საამქროს კედლის გაზეთ „მგლინავის“ რედაქტორი.



ამიერკავკასიის ი. ბ. სტალინის სახელობის მეტალურგიული ქარხნის საგლინავი საამქროს კედლის გაზეთ „მგლინავის“ სარედაქციო კოლეგია მორიგ ნომერზე მუშაობისას.

ფოტო შ. გოქაძისა.

★ ★ ★

## რედაქციის თვალი

ასე ეძახიან ნიკოლოზ ბულალაურს რაიონული გაზეთის რედაქციაში. იგი გაზეთის ერთ-ერთი აქტიური კორესპონდენტია. რომ იტყვიან, ხმალივით უჭრის სიტყვაო, სწორედ ნიკოლოზზეა ნათქვამი. აზრის ნათლად და სხარტად გამოთქმაში ნიკოლოზს დიდად ეხმარება პოეტური ნიჭიც. იგი რესპუბლიკაში ცნობილი მოლექსეა.

„ქვებზე ვისწავლე ანბანი
ჩემ სკოლა ბეჩავ ქოხია“,

წერს ერთ-ერთ ლექსში ნიკოლოზი. საქართველოში მენშევიკების თარეშის წლებში კანატიელი ღარიბი გლეხის შვილს ვერ ეღირსა სკოლაში სწავლა. შიმშილმა და სიღატაკემ პატარა ნიკო აიძულა მეჯოგეებთან წასულიყო მოჯამაგირედ. მისი პირველი მასწავლებლები იყვნენ მცირემცოდნე მეჯოგეები. ყოფილა შემთხვევა, პურისათვის შემონახული უკანასკნელი გროშებით ნიკოს ჟურნალ-გაზეთები უყიდია. და ასე მთებში ჯოგს ადევნებულ ყმაწვილს გუდაში შენახული გაცრეცილი გაზეთებით უსწავლია წერა-კითხვა.

ნიკოლოზისათვის სასიხარულო იყო ის შემთხვევა, როცა სოფელში რაიონული გაზეთის მუშაკი მივიდა და ახლადდაარსებული გაზეთისათვის წერილის დაწერა სთხოვა.

ეს იყო ოცდახუთი წლის წინათ. ამ ხნის მანძილზე ნიკოლოზს კალამი ხელიდან არ გაუშვია. დაუღალავად კითხულობდა წიგნებს, ჟურნალ-გაზეთებს, სწავლობდა და ეუფლებოდა მებრძოლი ხასიათის ინფორმაციებისა და კორესპონდენციების, ნარკვევებისა და ფელეტონების წერას. მონდომებამ ნაყოფიც გამოიღო. ახლა ნ. ბულალაურის წერილები და ლექსები რესპუბლიკურ გაზეთებშიც იბეჭდება. მაგრამ ნიკოლოზისათვის ყველაზე მახლობელი და საყვარელი მაინც რაიონული გაზეთია, ის გაზეთი, სადაც ენა აიდგა. ის ჩემი მასწავლებელიაო, ამბობს რაიონულ გაზეთზე ნიკოლოზი, და გაზეთის რედაქციის ყოველ დავალებას მონდომებითა და სიყვარულით ასრულებს.

რამდენი გზა და ბილიკი, რამდენი არხი და წყარო გაუყვანიათ, რამდენი ხიდი და საკოლმეურნეო ნაგებობა აუგიათ სოფლკორის მოთხოვნით ფშავის არაგვის ხეობაში!

ამას წინათ რაიონული გაზეთის საშუალებით ნ. ბულალაურმა დააყენა სოფელ მაღაროსკარისა და მისი ახლომახლო სოფლების ელექტროფიცირების საკითხი. რაიონის ხელმძღვანელობამ, გაითვალისწინა სოფლკორის სამართლიანი მოთხოვნა და გადაწყვიტა მაღაროსკარში აეშენებინა საკოლმეურნეო ელსადგური. მუშაობა გაჩაღდა. კიდევ რამდენიმე თვე, და მაღაროსკარში ილიჩის ნათურები აკიაფდება.

ნ. ბულალაურის, როგორც სოფლკორის ღირსება ის არის, რომ იგი მიღწეულით არ კმაყოფილდება. თვითნასწავლი კოლმეურნე სისტემატურად მუშაობს იდეურ-პოლიტიკური ცოდნის დონის ამაღლებისათვის, კითხულობს ახალ წიგნებს, ჟურნალ-გაზეთებს, მუშაობს წერისა და მეტყველების შემდგომი გაუმჯობესებისათვის. მაღალმთიანი კანატიიდან იგი ხშირად ჩამოდის რედაქციაში, მოაქვს ახალი მასალები, საუბრობს რედაქციის მუშაკებთან. კმაყოფილების გამომხატველი ღიმილით იღებს მათს შენიშვნებს, რჩევა-დარიგებას და მეორე დღეს ახალი წიგნებითა და შთაბეჭდილებებით დატვირთული მიჰყვება გზას მშობლიური სოფლისაკენ.

**გ. ნადარეიშვილი,**

დუშეთის რაიონული გაზეთ „სტალინური გზით“-ის რედაქტორის მოადგილე.

* * *



დუშეთის რაიონული გაზეთის რედაქციაში მოწყობილი აქვთ სოფლკორის მაგიდა. **სურათზე:** სოფლკორი ნ. ბულალაური საგაზეთო მასალაზე მუშაობის დროს.

## გავაფართოოთ კავშირი მუშსოფლკორებთან

უკანასკნელ დროს გაზეთ „აფსნი ყაფშის“ რედაქციამ საგრძნობლად გააუმჯობესა მუშაობა მუშა და სოფლის კორესპონდენტებთან. გასულ წელს და მიმდინარე წლის 4 თვის განმავლობაში რედაქციამ მოაწყო რვა რაიონული და ჯგუფური თათბირი გუდაუთის, ოჩამჩირის რაიონებში და ქალაქ სოხუმში. აფხაზეთის ქალაქებსა და რაიონებში მოეწყო მუშსოფლკორთა შვიდი კონფერენცია მკითხველთა აქტივის მონაწილეობით.

ეს თათბირები და კონფერენციები დიდად დაეხმარა როგორც რედაქციას, ისე მუშსოფლკორებს. გაძლიერდა მშრომელთა წერილების ნაკადი რედაქციაში, გაფართოვდა იმ საკითხების წრე, რომლებიც გაზეთს თავის ფურცლებზე გამოაქვს. მაგალითად, 1956 წელს რედაქციაში შემოვიდა 1.200-ით მეტი კორესპონდენცია, ვიდრე 1955 წელს. მიმდინარე წლის პირველ კვარტალში რედაქციამ მიიღო 1.300-ზე მეტი კორესპონდენცია.

გაზეთის ფურცლებზე ქვეყნდება სპეციალური განყოფილებები რუბრიკებით — „ჩვენი მკითხველების წერილები“, „მუშსოფლკორები გვატყობინებენ“. ეს განყოფილებები ილუსტრირებულია სათანადო კარიკატურებით, რაც მკითხველთა დიდ ინტერესს იწვევს.

გაზეთის მუშაობაში მუშსოფლკორთა აქტიური მონაწილეობის ერთ-ერთი ფორმაა მათი ჩაბმა რეიდებში. გაზეთმა მუშსოფლკორთა ფართო მონაწილეობით მოაწყო მთელი რიგი რეიდები ისეთი საკითხების გასაშუქებლად, როგორიც არის რაციონალიზაციისა და გამომგონებლობის საკითხი, სამეცნიერო-ტექნიკურ საზოგადოებათა მუშაობა, ქალაქების კეთილმოწყობა, პირუტყვის გამოზამთრებისათვის მზადება, საზოგადოებრივი კვების საწარმოთა მუშაობის მდგომარეობა და სხვ. რეიდების მასალებმა პარტიულ და საბჭოთა ორგანოებს ხელი შეუწყო დროზე მიეღოთ ზომები მუშაობაში არსებულ ნაკლოვანებათა გამოსასწორებლად.

მაგრამ მუშსოფლკორებთან რედაქცია ჯერ კიდევ სუსტად მუშაობს. ავტორთა აქტივს იშვიათად ვაბამთ სარედაქციო გეგმების განხილვაში, სისტემატურად ვერ ვაწყობთ მკითხველთა კრებებს, ვერ მოვაგვარეთ მუშსოფლკორთა სემინარების გეგმაშეწონილი მუშაობა.

რეიდების მასალები და მუშსოფლკორთა კრიტიკული გამოსვლები განხილული იყო პარტიის სოხუმისა და ტყვარჩელის საქალაქო კომიტეტების, გუდაუთისა და ოჩამჩირის რაიკომების ბიუროების სხდომებზე, ჯანმრთელობის დაცვის, ადგილობრივი მრეწველობის სამინისტროების კოლეგიებზე, რაიაღმასკომების სხდომებზე.

მაგრამ ყველგან და ყველა ორგანიზაცია დროულად როდი ეხმაურება კრიტიკულ გამოსვლებს. პარტიის გუდაუთის რაიკომი და ოჩამჩირის რაიაღმასკომი გაზეთის ზოგიერთ კრიტიკულ გამოსვლაზე პასუხს თვეობით აჭიანურებენ.

გაზეთის რედაქცია სერიოზულ ღონისძიებებს ახორციელებს, რათა გააუმჯობესოს და გააფართოოს კავშირი მუშსოფლკორებთან, უკეთ მოაწყოს მუშაობა და თავისი წვლილი შეიტანოს იმ ამოცანების შესრულების საქმეში, რომლებიც დასმულია მის წინაშე მეექვსე ხუთწლედის მეორე წელს.

**შ. ბასარია,**

პარტიის აფხაზეთის საოლქო კომიტეტის ორგანოს გაზეთ „აფსნი ყაფშის“ რედაქტორის მოადგილე.

## გაზეთის საპატიო თემა

ახალციხე რესპუბლიკაში ერთ-ერთი მრავალეროვანი რაიონია. აქ ცხოვრობენ და სამეურნეო, კულტურულ, საზოგადოებრივ საქმიანობას ეწევიან 12 სხვადასხვა ეროვნების წარმომადგენლები. ამიტომ მშრომელთა აღზრდა ხალხთა მეგობრობის, პროლეტარული ინტერნაციონალიზმის სულისკვეთებით ახალციხის რაიონული გაზეთის „წითელი დროშის“ ერთ-ერთი მთავარი და საპატიო თემაა.

ახალციხის ქვანახშირის მაღაროთა სამმართველოს № 1 შახტში ერთმანეთის მხარდამხარ თავდადებით შრომობენ რუსი ი. ბელოგუროვი, უკრაინელი ი. გაიდენკო, ქართველი კ. ჩიტორელიძე, ბელორუსი ა. სტეპული, აზერბაიჯანელი შ. მუსტაფაევი, სომეხი ს. ქეიანი, მოლდაველი თ. კუტიაკინი, დაღისტნელი მ. ისაკოვი, ოსი ა. პუხაევი, ებრაელი ე. მილშტეინი, ბერძენი ე. გრამატოპულო და სხვ. გაზეთი „წითელი დროშა“ თანმიმდევრულად აშუქებს მეშახტეთა ამ ინტერნაციონალური ოჯახის შრომით მონაპოვრებს, ხელს უწყობს მუშათა პატრიოტულ აღზრდას.

დაბა ვალეში ერთ-ერთ ინტერნატს სამართლიანად და სიამაყით ძმობის ოჯახს უწოდებენ, რადგან აქ მრავალი ეროვნების ახალგაზრდა მეშახტე მეგობრულად ცხოვრობს. მათს მეგობრობას საფუძველი ჩაეყარა ვალეს № 1 სამთო-სამრეწველო სკოლაში.

რაიონულმა გაზეთმა წელს ხალხთა მეგობრობის თემაზე 30-ზე მეტი წერილი, სტატია, ნარკვევი და ინფორმაცია დაბეჭდა. ჩვენი გაზეთი სხვადასხვა ეროვნების ადამიანთა ურღვევი მეგობრობის ტრიბუნა გახდა. ანდრიაწმინდელ ფოლკლორისტ მიხეილ ინასარიძესთან, ვალელ კოლმეურნე ნ. გოზალიშვილთან, ურაველელ მეცხოველე თ. ივანიძესთან, მეშახტე ბ. ჩიტორელიძესთან, აგრონომ პ. ხითარიშვილთან, ვეტექიმ გ. დიდიმამიშვილთან, მასწავლებელ ე. მოსეშვილთან და სხვა აქტივისტებთან ერთად „წითელ დროშაში“ აქტიურად თანამშრომლობენ სხვა ეროვნების მუშა და სოფლის კორესპონდენტებიც, მათ შორის: პ. კისელიოვი, ა. ბონდარენკო, ე. დომინკოვა, ხ. ჩახალიანი, პ. ალაბაზიანი, ზ. გალუსტიანი, ა. სარუხანიანი, ე. სამუელიანი, პ. მეიჯიანი და სხვა მრავალი.

რაიონულ გაზეთს ხალხთა შორის მეგობრობის განმტკიცებისათვის ყველაფერი როდი აქვს გაკეთებული. საჭიროა ფართოდ იქნას გამოყენებული ამ საპატიო თემის გაშუქებისათვის საბჭოთა პრესის მდიდარი გამოცდილება, უფრო მიზანდასახულად აისახოს ჩვენი მრავალეროვანი რაიონის მშრომელთა შრომითი საქმიანობა მეექვსე ხუთწლედის დავალებათა შესრულებისათვის ბრძოლაში.

**ნ. ფარჯანაძე,**

ახალციხის რაიონული გაზეთის „წითელი დროშის“ რედაქტორი.

## გავაძლიეროთ მუშაობა სოფლის კორესპონდენტებთან

კომუნისტური ბეჭდვითი სიტყვის დამახასიათებელი თვისებაა ის, რომ მის მუშაობაში მონაწილეობს მშრომელთა ფართო აქტივი. ლენინგორის რაიონშიც მრავლად აღიზარდნენ მუშსოფლკორები, ძირეული პრესის მუშაკები, რომლებიც კომუნისტური მშენებლობის მოწინავეთა რიგებში დგანან, ხელს უწყობენ ჩვენს წინსვლას, ამხილებენ ნაკლოვანებებს, მზის სინათლეზე გამოაქვთ ბიუროკრატიზმის, უყაირათობის, საქმისადმი უდარდელი დამოკიდებულების ფაქტები, განაზოგადებენ მოწინავეთა გამოცდილებას, შრომის მოწინავე მეთოდებს.

მუშსოფლკორთა მოძრაობის ზრდაზე ნათლად მეტყველებს ის ფაქტი, რომ რაიონული გაზეთის „სტალინელის“ რედაქციამ 1956 წელს თავისი კორესპონდენტებისაგან — კოლმეურნეებისაგან, საწარმო-დაწესებულებათა მუშებისა და მოსამსახურეებისაგან 500-ზე მეტი წერილი, კორესპონდენცია და ინფორმაცია მიიღო. რაიონის 80-ზე მეტი მუშა და სოფლის კორესპონდენტი მონაწილეობს ცენტრალურ, საოლქო და რაიონულ გაზეთებში. პარტიის რაიკომი მუშსოფლკორთა დასახმარებლად მნიშვნელოვან ღონისძიებებს ახორციელებს, აწყობს სარაიონო თათბირებს, რომლებზეც განიხილავენ მიმდინარე მომენტში პრესის მუშაკთა წინაშე მდგომ აქტუალურ საკითხებს.

კორესპონდენტთა შენიშვნები და საქმიანი წინადადებები ფართო გამოხმაურებას პოულობს მკითხველებში, აგრეთვე უმრავლეს შემთხვევაში იმ ადამიანებში, ვისაც ეს კრიტიკა ეხება. მაგრამ უნდა აღინიშნოს, რომ ამხანაგების ნაწილი ჯერ კიდევ უარყოფით, არაჯანსაღ დამოკიდებულებას იჩენს კრიტიკისადმი, მათ მიმართ გამოთქმული სამართლიანი შენიშვნებისადმი. ამას წინათ რაიონულ გაზეთში გაკრიტიკებული იყო ლარგვისის სასოფლო საბჭოს აღმასკომის ყოფილი თავმჯდომარე ვ. შერმადინი, რომელიც ხელს არ უწყობდა კინომექანიკოსებს კინოაპარატურის გადატანაში, ეს კი იწვევდა სოფლის მოსახლეობის კინომომსახურების ჩაშლას. წერილი ზომების მისაღებად სასოფლო საბჭოს აღმასკომს გადაეგზავნა. ვ. შერმადინმა ზომების მიღების ნაცვლად თავის მართლება დაიწყო და მოსახლეობის კინომომსახურების ჩაშლა ზამთარს დააბრალა.

ამას წინათ საოლქო გაზეთმა „საბჭოთა ოსეთმა“ დაბეჭდა კორესპონდენტ დ. ღუნაშვილის კორესპონდენცია ზაყორის კოლმეურნეობაში არსებულ ნაკლოვანებათა შესახებ. ნაცვლად იმისა, რომ კოლმეურნეობის თავმჯდომარეს ს. პილიევს საქმიანი კრიტიკა მიეღო და სათანადო დასკვნები გაეკეთებინა, მან კორესპონდენტს ლანძღვა დაუწყო. ს. პილიევი, რომელმაც თავი ვერ გაართვა საქმეს, მოხსნილია კოლმეურნეობის თავმჯდომარეობიდან.

სოფლის კორესპონდენტების მოვალეობა მარტო ის კი არ არის, რომ ამხილონ ნაკლოვანებანი, არამედ ისიც, რომ შეამჩნიონ ახლის ყლორტები, ყოველივე მზარდი, პროგრესული, რომლის გამოტანა გაზეთში და განზოგადება დიდ სარგებლობას მოუტანს საერთო საქმეს. რესპუბლიკური, საოლქო და რაიონული გაზეთების ფურცლებზე ხშირად გამოდიან ლენინგორის რაიონის მოწინავე მწველავი ს. გუსოევა, მეღორე ქ. ელოევი, მევენახე ა. ხალიბეგაშვილი, მწყემსი შ. თეზელაშვილი და სხვები. ისინი მკითხველებს მოუთხრობენ თავიანთ მიღწევებზე, იმ ხერხებსა და მეთოდებზე, რომლებითაც მუშაობაში წარმატებებს აღწევენ.

ავტორთა ფართო აქტივის მიზიდვა გაზეთებში მონაწილეობისათვის პრესის მუშაკთა მთავარი საზრუნავია. ამ მხრივ ჩვენს რაიონში ყველაფერი რიგზე როდია. რაიონული გაზეთის „სტალინელის“ რედაქცია ჯერ კიდევ ნაკლებად მუშაობს სოფლის კორესპონდენტებთან, ყოველდღიური ცოცხალი კავშირი არა აქვს მათთან, იშვიათად აწყობს მუშსოფლკორთა რაიონულ თათბირებს.

გაზეთის მუშაობის იდეური დონე სწორ პარტიულ ხელმძღვანელობაზეა დამოკიდებული. სოფლის კორესპონდენტთა ფართო აქტივის აღზრდა ხდება ჩვენი პრესის, კედლის გაზეთების მუშაობაში მათი ჩაბმით. ამიტომ პარტიული ორგანიზაციების გადაუდებელი ამოცანაა ყოველნაირად იზრუნონ კედლის გაზეთების მუშაობის გაუმჯობესებისათვის, დაეხმარონ რედაქტორებს და სარედაქციო კოლეგიების წევრებს. სამწუხაროდ, რაიონის ზოგიერთ კოლმეურნეობასა და საწარმო-დაწესებულებაში ასე არ ხდება. თვეობით არ გამოდის, მაგალითად, სალბიერის საკოლმეურნეო პარტორგანიზაციის ორგანო „კომუნიზმისაკენ“ და როცა გამოდის მაშინაც ცუდად ფორმდება და უშინაარსოა.

რაიონის პარტიული ორგანიზაციების მოვალეობაა ყოველდღიურად იზრუნონ იმისათვის, რომ მაღალ დონეზე იდგეს ძირეული პრესის მუშაობა, კედლის გაზეთებსა და რაიონულ გაზეთს შემოკრებილი ჰყავდეთ ფართო აქტივი, სულ უფრო გაადიდონ მუშსოფლკორთა რაოდენობა.

**ი. ხაბალაშვილი,**

საქართველოს კპ ლენინგორის რაიკომის მდივანი.

## პირველი ნაბიჯები

საკოლმეურნეო მრავალტირაჟიან გაზეთ „ნატანებელი კოლმეურნის“ გამოსვლას დიდი კმაყოფილებით შეხვდნენ ჩვენი კოლმეურნეები. განსაკუთრებულ ინტერესს იჩენენ ისინი ნაბეჭდი გაზეთისადმი. ამიტომ არის, რომ პარტიის რაიონული კომიტეტი სერიოზულ ყურადღებას აქცევს გაზეთის მუშაობის უკეთ დაყენების საქმეს.

გაზეთის სარედაქციო კოლეგიის შემადგენლობაში პარტიის მახარაძის რაიკომის ბიურომ დაამტკიცა კოლმეურნეობისა და სოფლის მოწინავე ადამიანები. ახლა სარედაქციო კოლეგიის შემადგენლობაშია საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატი, სოციალისტური შრომის გმირი დ. ტაკიძე, სოციალისტური შრომის გმირი ი. გორგილაძე, კოლმეურნეობის თავმჯდომარის მოადგილე აგრონომი შ. ნაკაიძე, ნატანების საშუალო სკოლის მასწავლებელი ბ. გოგოტიშვილი და სხვ.

გაზეთის გამოსვლის ყოველ მეორე დღეს სარედაქციო კოლეგიის სხდომაზე განვიხილავთ გაზეთის ახალ ნომერს, ვამტკიცებთ მომავალი ნომრის გეგმას და კონკრეტულ დავალებას ვაძლევთ კოლეგიის თვითეულ წევრს.

გაზეთი „ნატანებელი კოლმეურნე“ ამ დღეებში გამოვიდა სოციალისტური შეჯიბრების ინიციატორად და მოუწოდა სოფლის ტერიტორიაზე განლაგებულ ყველა საწარმო-დაწესებულებას დაეხმარონ კოლმეურნეობას ჩაის ფოთლის კრეფის სახელმწიფო გეგმის შესრულების საქმეში.

წელს ნატანების კოლმეურნეობამ უკრაინელ და სომეხ მეგობრებთან სოციალისტური შეჯიბრებით ნაკისრი ვალდებულება პირნათლად რომ გაანაღდოს, საჭიროა სამშობლოს მისცეს 2.000.000 კილოგრამი ჩაის ფოთოლი, 18.000.000 ცალი ციტრუსოვანთა ნაყოფი; თვითეულ საფურაჟე ძროხაზე მიიღოს 1.200 კილოგრამი რძე, თვითეულ ჰექტარზე — 25 ცენტნერი სიმინდი. ჩვენი გაზეთის სარედაქციო კოლეგიას კარგად აქვს შეგნებული, რომ გაზეთმა დიდი მუშაობა უნდა გასწიოს იმისათვის, რათა კოლმეურნეობამ პირნათლად შეასრულოს სოციალისტური შეჯიბრებით ნაკისრი ვალდებულებანი. ამიტომ გაზეთი კიდევ უფრო ფართოდ გააშუქებს კოლმეურნეთა შორის სოციალისტურ შეჯიბრებას და იბრძოლებს მოწინავეთა გამოცდილების ფართოდ დანერგვისათვის.

მაგრამ არ შეიძლება არ აღინიშნოს, რომ მუშაობაში ვხვდებით სერიოზულ სიძნელეებს კლიშეების ოპერატიულად დამზადების საქმეში. დროა სათანადო ორგანოებმა მოაგვარონ მახარაძის სტამბასთან ცინკოგრაფიის გახსნის საკითხი. თუ მახარაძეში ცინკოგრაფია იქნება, იგი მოემსახურება ჩვენი რაიონის ორ გაზეთს, აგრეთვე ლანჩხუთის, ჩოხატაურის და ქობულეთის რაიონულ გაზეთებს. ეს კი მკვეთრად გააუმჯობესებს ამ გაზეთების მუშაობას.

**ნ. ქინქლაძე,**

მახარაძის რაიონის სოფელ ნატანების ლენინის სახელობის კოლმეურნეობის მრავალტირაჟიან გაზეთ „ნატანებელი კოლმეურნის“ რედაქტორი.

# შეწყდეს ატომისა და წყალბადის იარაღის გამოცდა

## განცხადება მშვიდობის დაცვის საბჭოთა კომიტეტისა

მშვიდობის დაცვის საბჭოთა კომიტეტმა განიხილა ა. წ. 30 მარტს — 2 აპრილს ბერლინში მშვიდობის მსოფლიო საბჭოს ბიუროს სხდომებზე მიღებული დოკუმენტები: მშვიდობის მსოფლიო საბჭოს ბერლინის მოწოდება ატომური და წყალბადის იარაღის გამოცდის შეწყვეტის შესახებ, მშვიდობის მსოფლიო საბჭოს განცხადება ამ საკითხზე და რეზოლუცია საერთაშორისო ვითარების შესახებ.

მშვიდობის საბჭოთა მომხრეები იზიარებენ მშვიდობისმოყვარე ხალხების შეშფოთებას, რომელიც გამოთქმულია ამ დოკუმენტებში, იმის გამო, რომ გაძლიერდა მშვიდობის მტრების მიერ ატომური ომის გაჩაღების საფრთხე. ატომური ომის იდეა სულ უფრო ეუფლება კაპიტალისტური ქვეყნების ზოგიერთი სახელმწიფო და სამხედრო მოღვაწის გონებას. აშკარად წარმოებს ატომური სტრატეგიის შემუშავება. არის ცდები დაარწმუნონ საზოგადოებრივი აზრი, რომ ატომური ომი გარდუვალია. ნატოს გადაწყვეტილებებით გაფართოვდა იმ ქვეყნების წრე, რომელთა შეიარაღებული ძალები აღიჭურვებიან ატომური იარაღით. ატომგულის იარაღის წარმოება სულ უფრო მარტივი და იაფი ხდება, რის შედეგად სწრაფად იზრდება მისი მარაგი. ამრიგად, ხალხთა ნების წინააღმდეგ, აგრესიის ძალები ამზადებენ გამანადგურებელ ატომურ ომს.

მშვიდობის დაცვის საბჭოთა კომიტეტი მხურვალედ უჭერს მხარს მშვიდობის მსოფლიო საბჭოს ბიუროს მოწოდებას ყველა ხალხისადმი — გადაჭრით მოითხოვონ, რომ დაუყოვნებლივ შეწყდეს ატომგულის იარაღის გამოცდა, რათა შემდეგში მიაღწიონ მასობრივი მოსპობის ამ იარაღის აკრძალვას და ამით თავიდან აიცილონ ატომური ომი.

მშვიდობის დაცვის საბჭოთა კომიტეტს საჭიროდ მიაჩნია აღნიშნოს, რომ სახელმწიფოებს, რომლებიც ფლობენ ატომგულის იარაღს, სხვადასხვა პოზიცია უკავიათ მისი აკრძალვისა და ამ იარაღის გამოცდის შეწყვეტის საკითხში. საბჭოთა კავშირი მტკიცედ და გადაჭრით მოითხოვდა და მოითხოვს ატომგულის იარაღის სრულ და უთუო აკრძალვას, მისი წარმოების შეწყვეტას და მისი მარაგის მოსპობას. მაგრამ, რამდენადაც ამ საკითხებზე შეთანხმების მიღწევა დიდ დროს მოითხოვს, საბჭოთა კავშირმა ატომგულის იარაღის აკრძალვისათვის პირველი ნაბიჯის სახით შეაქვს წინადადება დაუყოვნებლივ შეწყდეს ატომგულის იარაღის გამოცდა. ამავე დროს ამერიკის შეერთებული შტატები და დიდი ბრიტანეთი ყოველგვარ დაბრკოლებას უქმნიან ხალხებისათვის ამ სასიცოცხლო მნიშვნელობის პრობლემის გადაჭრას. გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის XI სესიაზე საბჭოთა კავშირი ცდილობდა გაეყვანა თავისი წინადადება ატომური იარაღის გამოცდის დაუყოვნებლივ შეწყვეტის შესახებ, მაგრამ ამერიკის შეერთებული შტატებისა და ინგლისის მეცადინეობით ეს წინადადება უარყოფილ იქნა. საბჭოთა მთავრობა ამ პრობლემის უსწრაფესად გადაჭრის მიზნით კვლავ დაუბრუნდა ამ საკითხს და გაერთიანებული ერების ორგანიზაციის განიარაღების კომისიის ქვეკომიტეტში ლონდონში შეიტანა წინადადება გამოიყოს ატომური და წყალბადის იარაღის გამოცდის შეწყვეტის საკითხი ატომური და წყალბადის იარაღის საერთო პრობლემიდან როგორც პირველი რიგის ღონისძიება და დაუყოვნებლივ გადაიჭრას იგი. მაგრამ ამერიკის შეერთებული შტატები და ინგლისი ყოველგვარი საბაბით თავს არიდებენ ამ საკითხზე შეთანხმების მიღწევას. უფრო მეტიც, ამერიკის შეერთებული შტატებისა და ინგლისის მთავრობებმა ბერმუდესის კუნძულებზე მოლაპარაკების დროს დადეს შეთანხმება არ დაუშვან ატომგულის იარაღის გამოცდის შეწყვეტა. ეს იმას მოწმობს, რომ ატომური და წყალბადის ბომბების გამოცდის შეწყვეტა დამოკიდებულია არა საბჭოთა კავშირზე, არამედ მხოლოდ ამერიკის შეერთებულ შტატებსა და ინგლისზე.

მშვიდობის დაცვის საბჭოთა კომიტეტი, გამოხატავს რა სსრ კავშირის ყველა მშვიდობის მომხრის აზრს, მტკიცედ უჭერს მხარს საბჭოთა მთავრობის პოზიციას ატომური და წყალბადის იარაღის გამოცდის დაუყოვნებლივ შეწყვეტის საკითხში.

მშვიდობის დაცვის საბჭოთა კომიტეტს საჭიროდ მიაჩნია მხარი დაუჭიროს მშვიდობის მსოფლიო საბჭოს მიერ გამოცხადებულ კამპანიას ატომური და წყალბადის იარაღის გამოცდის შეწყვეტისათვის და მიმართავს საბჭოთა საზოგადოებრიობას მოწოდებით გამოთქვას თავისი მისწრაფება ატომური ომის თავიდან აცილებისადმი, აქტიური მონაწილეობა მიიღოს ამ კამპანიაში კრებების, მიტინგების, ყრილობებისა და კონფერენციების, პრესაში და რადიოთი გამოსვლების გზით და ყველა სხვა საშუალებით. მშვიდობის დაცვის საბჭოთა კომიტეტი დარწმუნებულია, რომ ყველა საბჭოთა ადამიანი მტკიცედ დაუჭერს მხარს საბჭოთა მთავრობის მეცადინეობას, რომ დაშვებულ არ იქნას ატომური ომი.

მშვიდობის დაცვის საბჭოთა კომიტეტი გამოთქვამს იმედს, რომ მშვიდობის ყველა მეგობარი ყველა ქვეყანაში ყველაფერს გააკეთებს იმისათვის, რომ დაუყოვნებლივ დაიდოს შეთანხმება ატომგულის იარაღის გამოცდის შეწყვეტის შესახებ და რომ შესაბამისმა მთავრობებმა რაც შეიძლება მალე მიიღონ გადაწყვეტილება იმის შესახებ, რომ აიკრძალოს ატომგულის იარაღი, შეწყდეს მისი წარმოება და მოისპოს მთელი მისი მარაგი.

ხალხებს შეუძლიათ უზრუნველყონ და კიდეც უნდა უზრუნველყონ, რომ ატომის ენერგია — ადამიანის გენიის ეს უდიდესი აღმოჩენა — ემსახურებოდეს არა ჟლეტასა და ნგრევას, არამედ ადამიანთა საზოგადოების აღმშენებლობისა და აყვავების მიზნებს.

**მშვიდობის დაცვის საბჭოთა კომიტეტი.**

## მშვიდობის მსოფლიო საბჭოს ბერლინის მოწოდება

ამჟამად ეწყობა ატომური გამოცდა. ეს გამოცდა ჰაერში აფრქვევს სტრონციუმ-90-ს, რომელიც წამლავს ხმელეთსა და წყლებს და იწვევს კიბოსა და თეთრსისხლიანობას. გამოცდის განგრძობას შეუძლია შეარყიოს ადამიანთა რამდენიმე თაობის და განსაკუთრებით ბავშვთა ჯანმრთელობა და სიცოცხლე.

ატომური ომი მოსპობდა მილიონობით ადამიანის სიცოცხლეს და გაანადგურებდა მთელ კონტინენტებს. არც ერთ ქვეყანას, არც ერთ ხალხს არა სურს ეს ომი, მაგრამ ამ ომს აშკარად ამზადებენ და ზოგიერთნი ამას ურიგდებიან. შეერთებული შტატები და სსრ კავშირი განაგრძობენ წყალბადის ბომბის გამოცდას. დიდი ბრიტანეთი უერთდება მათ.

ჩვენ მოვითხოვთ, რომ შეწყდეს ეს გამოცდა. ჩვენ მოვითხოვთ დაუყოვნებლივ შეთანხმებას ამ გამოცდის შეჩერების შესახებ.

ეს შესაძლებლობას მოგვცემს დავიცვათ ჩვენი შვილების სიცოცხლე საფრთხისაგან. ეს აიძულებს მთავრობებს შეთანხმდნენ ატომური იარაღის მოსპობისა და ომის თავიდან აცილების შესახებ. თუ პროტესტის ხმას ყველა ქვეყანაში აღიმაღლებენ, იგი ყურად იქნება მიღებული. ჩვენ ჯერ კიდევ შეგვიძლია თავიდან ავიცილოთ საფრთხე.

**მშვიდობის მსოფლიო საბჭოს ბიურო.**

ბერლინი, 1957 წლის 2 აპრილი.

## განცხადება მშვიდობის მსოფლიო საბჭოს ბერლინის მოწოდების გამო

შვიდი წელი გავიდა მას შემდეგ, რაც მშვიდობის მომხრეებმა, მიმართეს რა მთელ მსოფლიოს სტოკჰოლმის მოწოდებით, ყურადღება მიაპყრეს საფრთხეს, რომელსაც ატომური იარაღი წარმოადგენს ხალხებისათვის. მას შემდეგ ეს საფრთხე გაძლიერდა.

სერიოზულმა ამბებმა, რომლებიც მოხდა გასული წლის დამლევს, ცხადყო, რომ არსებობს კონფლიქტების კერები, რომლებსაც შეუძლიათ გამოიწვიონ მსოფლიო ომი და ატომური და წყალბადის ბომბების გამოყენება.

მაგრამ კაცობრიობას დღეს ემუქრება არა მარტო ომი, არამედ ის ცდებიც, რომლებიც მშვიდობიან დროს ეწყობა. ატომგულის აფეთქებები, რომლებსაც გამოცდის მიზნით აწარმოებს სამი დიდი ქვეყანა, თუ ეს აფეთქებები გაგრძელდა, სხვადასხვა სენსა და სიკვდილს დათესავს მილიონობით ადამიანთა შორის.

იაპონელმა ხალხმა, რომელმაც პირველმა განიცადა ატომური ომისა და გამოცდის შედეგები, მოგვცა მაგალითი, მოითხოვა რა შეწყდეს ეს ექსპერიმენტები. ამ მოთხოვნას იაპონიაში მხარი დაუჭირეს ადამიანებმა, რომლებიც უდიდესი მეცნიერული და მორალური ავტორიტეტით სარგებლობენ; იგი ერთსულოვნად მოიწონა იაპონიის პარლამენტმა.

იმ სახელმწიფოების მთავრობებმა, რომლებიც სამხედრო პაქტებში არ მონაწილეობენ, ისეთებისა, როგორიც ინდოეთი და შვეცია არიან, აგრეთვე მოითხოვეს გამოცდის შეწყვეტა. სხვა მთავრობებმა და პარლამენტებმაც გადადგეს ნაბიჯი ამ მიმართულებით. ასეთსავე მოთხოვნებს აყენებენ ბევრი ქვეყნის დიდი ორგანიზაციებიც. მშვიდობისათვის მოძრაობა მოგვიწოდებს მხარი დავუჭიროთ ყოველ ამგვარ ინიციატივას.

ჩვენ ამ მოწოდებით მივმართავთ ყველას და მოვუწოდებთ გაავრცელონ იგი, ხელი მოაწერონ მას ან რაიმე სხვა საშუალებით განაცხადონ, რომ მას იწონებს ყველა ქვეყნის რაც შეიძლება მეტი ქალი და მამაკაცი.

**მშვიდობის მსოფლიო საბჭოს ბიურო.**

ბერლინი, 1957 წლის 2 აპრილი.

## მშვიდობის მსოფლიო საბჭოს ბიუროს რეზოლუცია საერთაშორისო ვითარების შესახებ

დაძაბულობის შენელების პერიოდის შემდეგ, რომელსაც ბევრად შეუწყეს ხელი ხალხებმა და რომლის დადებითი შედეგები უკვე იგრძნეს მათ, ეს ხალხები ახლა დგანან ახალი განხეთქილებებისა და შეიარაღებული კონფლიქტების წინაშე, რომლებიც კვლავ აღორძინებენ ცივ ომს, აძლიერებენ უნდობლობას და ქმნიან ისეთი ვითარების გამოწვევის საფრთხეს, რომელიც სერიოზულ საშიშროებას განუმზადებს მშვიდობას მთელ მსოფლიოში.

მსოფლიო ჯერ კიდევ გათიშულია სხვადასხვა ბლოკებად. ყველა კონტინენტზე იქმნება სამხედრო ბაზები. განუწყვეტლივ წარმოებს ახალი ატომური და ატომგულის იარაღის გამოცდა. არმიები იჭურვებიან ატომური იარაღით. წარმოებს ცდები ყოველი საშუალებით შეუშალონ ხელი ეროვნული სუვერენიტეტის განხორციელებას, უწინარეს ყოვლისა აზიაში, აფრიკასა და სამხრეთ ამერიკაში. ყოველივე ეს აძლიერებს საფრთხეს, რომელიც კაცობრიობას ემუქრება.

ახლო აღმოსავლეთში საომარი მოქმედების კვლავ დაწყების მუქარით ცდილობენ თავს მოახვიონ ქვეყნებს ღონისძიებანი, რომლებიც წარმოადგენენ სხვა ქვეყნების საშინაო საქმეებში ჩარევას და ამ ქვეყნების დამოუკიდებლობაზე შეტევას. ამით შეუძლებელი ხდება ამ საკითხთა მშვიდობიანი გადაჭრა და იქმნება ომის მბჟუტავი კერა მსოფლიოს ამ ნაწილში.

სამი წელია ომი წარმოებს ალჟირში. ამით მეტისმეტად მწვავდება ვითარება მთელ ჩრდილოეთ აფრიკაში.

საშიში მდგომარეობა შეიქმნა ევროპის შუაგულში გერმანიის გათიშვის, დასავლეთ გერმანიის რემილიტარიზაციისა და ნატოს ფარგლებში ბუნდესვერის ატომური იარაღით აღჭურვის შედეგად. ამის შედეგად წარმოშობილი საფრთხე შეიძლება აღმოიფხვრას, თუ გაყვანილ იქნება მთელი საოკუპაციო ჯარები და თუ დიდი სახელმწიფოები დადებენ შეთანხმებას, რომელიც შესაძლებელს გახდის, რომ გერმანიის ორივე ნაწილი გამოვიდეს სამხედრო ბლოკებიდან. მაგრამ „ევროპული“ ორგანიზაციების შექმნა ამწვავებს ამ საფრთხეს, რადგან იგი აღრმავებს ევროპის გათიშვას და საშუალებას აძლევს დასავლეთ გერმანიას აკეთოს ატომური იარაღი.

განვლილმა წლებმა ცხადყო, რომ მსოფლიო საზოგადოებრიობას შეუძლია გადამწყვეტი გავლენა მოახდინოს მოვლენათა მსვლელობაზე. ამის წანამძღვარია ის, რომ ხალხებმა შეინარჩუნონ და შემდგომ განავითარონ ჟენევისა და ბანდუნგის სულისკვეთება, ხალხებმა მხარი დაუჭირონ მშვიდობის მომხრეთა მსოფლიო მოძრაობას მათს მისწრაფებაში — მოლაპარაკების გზით გადაჭრან ყველა წარმოშობილი უთანხმოება.

თუ ხალხები განახორციელებენ ღონისძიებებს, მათ შეუძლიათ შექმნან ნდობის ახალი ატმოსფერო და მიაღწიონ თანხმობას საყოველთაო უშიშროების, განიარაღების, ეკონომიური და მეცნიერული თანამშრომლობის გზაზე.

ვისაც სურს დაიცვას კაცობრიობა გადაგვარებისა და დაღუპვისაგან, უნდა მიიღოს მონაწილეობა ამ ღონისძიებებში და ხელი შეუწყოს იმ დიდი კამპანიის წარმატებას, რომელსაც მშვიდობის მსოფლიო საბჭო აწარმოებს ატომური და წყალბადის ბომბების გამოცდის წინააღმდეგ. ომის საფრთხის წინააღმდეგ და მშვიდობისათვის მებრძოლი მილიონობით ადამიანის სურვილებისა და იმედების შესაბამისად მშვიდობის მსოფლიო საბჭოს ბიურომ გადაწყვიტა 1957 წლის 10-16 ივნისს მოიწვიოს მშვიდობის მსოფლიო საბჭოს სესია კოლომბოში.

## „ალო, ბუდაპეშტ!“

### უნგრეთის ვარიეტეს მსახიობთა კონცერტები



უნგრეთის ვარიეტეს მსახიობთა კონცერტებმა, რომლებიც საქართველოს სახელმწიფო ფილარმონიის საზაფხულო დარბაზში იმართება, თბილისელ მაყურებელთა დიდი ინტერესი გამოიწვია. ეს ინტერესი სავსებით გასაგებია, თუ გავითვალისწინებთ, რომ უნგრული ვარიეტე, რომელსაც არსებობის ხანგრძლივი ისტორიული ტრადიციები აქვს, ფრანგული ვარიეტეს შემდეგ, დამსახურებული პოპულარობით სარგებლობს მთელ მსოფლიოში.

უნგრეთის ვარიეტეს ამ ნიჭიერ მრავალრიცხოვან კოლექტივში ბევრი შესანიშნავი სოლისტი-შემსრულებელია, რომლებიც განაპირობებენ კონცერტების წარმატებას. მათ შორის განსაკუთრებით აღსანიშნავია ცნობილი უნგრელი საესტრადო მომღერალი ქალი გენა პრუსი, რომლის მიერ შესრულებული პოპულარული ფრანგული, ესპანური და გერმანული სიმღერები გამოირჩევა დახვეწილი მხატვრული გემოვნებით, ლირიული ემოციურობით და მკაფიო დიქციით. საერთო მოწონებას იმსახურებს უნგრეთის ოპერის სოლისტი ჟერარ ლაბოხი, რომელმაც მაღალი ვოკალური ოსტატობით შეასრულა ცნობილი ნეაპოლიტანური სიმღერები „ო, მარი!“, „ნახვამდის, რომო“, „დედა“ და სხვ.

კარგ შთაბეჭდილებას სტოვებს მუსიკალური ექსცენტრიკოსების კერეშენების გამოსვლები. ისინი არა მარტო საესტრადო ქორეოგრაფიის ტექნიკას არიან დაუფლებული და შესანიშნავად ცეკვავენ, არამედ ოსტატურადაც უკრავენ მთელ რიგ მუსიკალურ ინსტრუმენტებს, მათ შორის ქსილოფონს, რომელზეც წარმატებით შეასრულეს ისეთი რთული კლასიკური ნაწარმოებები, როგორიც არის სახელგანთქმული უნგრელი კომპოზიტორის ფერენც ლისტის ცნობილი მეორე უნგრული რაფსოდია და პოპულარული „ხანჯლებით ცეკვა“ გამოჩენილი საბჭოთა კომპოზიტორის არამ ხაჩატურიანის ბალეტ „გაიანედან“. რაც შეეხება ერთ-ერთი მუსიკალური ექსცენტრიკოსის კარლო კერეშენის მიერ ხერხზე შესრულებულ ქართულ სიმღერას „სულიკოს“, უნდა აღინიშნოს, რომ შესანიშნავი ხალხური მელოდიის ჰანგები ძნელად აიწყო ამ მოდერნისტულ მუსიკალურ „საკრავზე“. დიდი წარმატება სამართლიანად ხვდათ უნგრეთის სახალხო რესპუბლიკის დამსახურებული არტისტის იოჟეფ შიმანდის თოჯინებს (განსაკუთრებით ეს ითქმის „ლოთზე“) და კვიკის თეატრალიზებულ პაროდიებს ცნობილ კომპოზიტორებსა და დირიჟორებზე ჯუზეპე ვერდიზე, ფერენც ლისტზე, პეტრე ჩაიკოვსკიზე, არტურო ტოსკანინიზე, ლეოპოლდ სტოკოვსკიზე, სერგეი რახმანინოვზე და სხვ.

კონცერტების წარმატებას ხელს უწყობს ბრწყინვალე ტექნიკური ოსტატობით შესრულებული შესანიშნავი ქორეოგრაფიული ნომრები (აკრობატული ცეკვა, ცეკვა თვლებიან ციგურებზე და სხვა) ნიჭიერ ილუზიონისტ ირმა კუტის ეფექტური გამოსვლები, ახალგაზრდა მომღერალ ეტა პუსტაის მიერ უბადლო ეროვნული კოლორიტით შესრულებული უნგრული ხალხური სიმღერები, უნგრეთის სახალხო რესპუბლიკის დამსახურებული არტისტის მიხაი ტაბანის შესრულება აკორდეონზე და, რაც მთავარია, ჯაზ-ორკესტრის შესანიშნავი აკომპანემენტი, რომელიც გამოირჩევა კეთილშობილური მელოდიურობით, ჯანსაღი რიტმულობით და მგზნებარე ტემპერამენტით.

უნგრეთის ვარიეტეს მსახიობთა გამოსვლები, რომლებიც უდავოდ მიეკუთვნება მიმდინარე მუსიკალური სეზონის საინტერესო კონცერტების ციკლს, უეჭველად ხელს შეუწყობს მოძმე საბჭოთა და უნგრელი ხალხების მუსიკალური ურთიერთობის შემდგომ განმტკიცებას.

**დ. გველესიანი.**

* * *

**სურათზე:** მუსიკალური ექსცენტრიკოსები კერეშენები ასრულებენ ფ. ლისტის მე-2 უნგრულ რაფსოდიას.

ფოტო ვ. გინზბურგისა.

## სსრ კავშირის თასის მოსაპოვებლად

მიმდინარე წლის სასპორტო სეზონში დიდ ინტერესს იწვევს სსრ კავშირის თასის გათამაშება ფეხბურთში. ეს ასპარეზობა წელს თვალსაჩინოდ განსხვავდება გასული შეხვედრებისაგან. ფაქტიურად გათამაშდება ორი თასი — თასი ოსტატთა კოლექტივებისათვის და თასი დანარჩენი გუნდებისათვის.

მაისის პირველი რიცხვებიდან ბრძოლაში ჩაებნენ „ბ“ კლასის გუნდები. შეჯიბრება მიმდინარეობს ზონების მიხედვით. აქ გამარჯვებული ფეხბურთელთა კოლექტივები „ა“ კლასის გუნდებთან ერთად მოაწყობენ დასკვნით ასპარეზობას. გათამაშება მიმდინარეობს ოლიმპიური სისტემით.

როგორც ცნობილია, „ბ“ კლასის მესამე ზონაში საქართველოდან მონაწილეობას იღებენ თბილისის საოლქო სასპორტო კლუბისა და ქუთაისის „ლოკომოტივის“ გუნდები. სსრ კავშირის თასზე ქუთაისის ლოკომოტიველებმა პირველი მატჩი გამართეს სტალინაბადში ადგილობრივ „უროჟაის“ გუნდთან. ეს შეხვედრა ლოკომოტიველებმა მაღალ სპორტულ დონეზე ჩაატარეს და მოიგეს მატჩი ანგარიშით 3:0.

## ჩვენი ქვეყნის პირველობა ფეხბურთში

### „ა“ კლასი

**მოსკოვი.** 4 მაისი. დღეს დედაქალაქის „დინამოს“ სტადიონზე გაიმართა მორიგი მატჩი ფეხბურთში სსრ კავშირის პირველობაზე. თამაშობდნენ მოსკოვის „ტორპედოსა“ და სტალინოს „შახტიორის“ გუნდები. შეჯიბრება დამთავრდა ტორპედოელთა გამარჯვებით 2:0.

## ქალთა რესპუბლიკური საჭადრაკო ჩემპიონატი

გუშინ თბილისის რუსთაველის სახელობის საკონცერტო დარბაზში საზეიმოდ გაიხსნა საქართველოს 1957 წლის პირველობის გათამაშება ჭადრაკში ქალთა შორის. ჩემპიონატში მონაწილეობას იღებს 16 მოჭადრაკე. მათ შორის არიან — გაფრინდაშვილი, კაკაბაძე, ტოგონიძე, გოგიავა, სტატნიკოვა და სხვ. ასპარეზობაში კონკურსგარეშე მონაწილეობის მისაღებად მოწვეული არიან გურფინკელი და როოტარე.

**რედაქტორი გ. ფირცხალავა.**

## ბიზნესისა და მონოპოლიების პრესა

იმპერიალისტური წრეების პროპაგანდაში განსაკუთრებულ რეაქციულ როლს ასრულებს აგრესიული, ანტიდემოკრატიული ბანაკის მეთაურებისა და სულისჩამდგმელების — ამერიკელი მონოპოლისტების პრესა.

ბურჟუაზიულ პრესას, რომლის ძირითადი იარაღია ტლანქი სიცრუე, ყოვლად საზიზღარი ცილისწამება, ხინამდვილის უტიფრად დამახინჯება, ამერიკელი მონოპოლისტები იყენებენ იმისათვის, რომ დაამკვიდრონ რეაქცია, გააღვივონ ომის ფსიქოზი, გაართულონ საერთაშორისო მდგომარეობა და დააყენონ ხალხები იმ გზაზე, რომელიც იწვევს ახალი ომის საფრთხის გაძლიერებას.

ამერიკის ბურჟუაზიული გაზეთებისა და ჟურნალების დიდი უმრავლესობის გამოცემა თავმოყრილია მსხვილი მონოპოლიების ხელში, დამყარებულია დოლარსა და ბიზნესზე. მართალია, ამერიკის შეერთებული შტატების კონსტიტუციით გარანტირებულია პრესის „თავისუფლება“, მაგრამ იქ გაზეთის გამოცემა შეუძლია მხოლოდ იმას, ვისაც ფული აქვს. ერთხელ ამერიკელმა რადიოსატირიკოსმა ჰენრი მორგანმა განაცხადა, რომ გაზეთის დაარსება ამერიკაში შეუძლია ყოველ ადამიანს, რომელსაც აქვს პატივმოყვარეობა, პატიოსნება და ათი მილიონი დოლარი. თუმცა მან იქვე დასძინა, პატიოსნება ამ შემთხვევაში სავალდებულო არ არისო. და მართლაც, „პრესის თავისუფლებით“ ამერიკაში სარგებლობა შეიძლება მხოლოდდამხოლოდ ნაღდ ფულზე. ახლანდელ პირობებში არა მარტო საერთოამერიკული, არამედ პატარა პროვინციული გაზეთების გამოცემა შეუძლიათ მხოლოდ მილიონერებს.

ამერიკული პრესის მონოპოლიზაცია განსაკუთრებით გაძლიერდა ომის შემდგომ წლებში. ოფიციალური მონაცემებით, უკვე 1947 წლისათვის 76 კონცერნი ფლობდა 375 გაზეთს, ე. ი. ამერიკის შეერთებულ შტატებში ინგლისურ ენაზე გამომავალი ყველა გაზეთის 25 პროცენტს. ამჟამად ხუთი ყველაზე მსხვილი საგაზეთო კონცერნის მფლობელები კონტროლს უწევენ გაზეთების საერთო ტირაჟის 25 პროცენტს. ამერიკის „პრესის ინდუსტრიაში“ ძალიან დიდ როლს ასრულებს სამი საინფორმაციო სააგენტო: ასოშიეიტედ პრესი, იუნაიტედ პრესი და ინტერნეიშნლ ნიუს სერვისი. პირველი მათგანი, რომელიც ყველაზე დიდია, საგაზეთო მონოპოლიების და გაზეთების მსხვილი მფლობელების თავისებურ სააქციო საზოგადოებას წარმოადგენს. ამერიკაში არის სხვა უფრო პატარა საგაზეთო კონცერნები და საინფორმაციო სააგენტოები, მაგრამ ყველა ისინი, დიდი თუ პატარა, მჭიდროდ არიან დაკავშირებული სხვადასხვა კაპიტალისტურ მონოპოლიებთან და საბანკო ტრესტებთან, რომელთა უმრავლესობა ამერიკის შეერთებული შტატების მრეწველთა ეროვნულ ასოციაციაში შედის.

მსხვილ მრეწველს არტურ ჰეის სულცბერგერს, რომელიც ფლობს ამერიკის ყველაზე დიდ გაზეთს „ნიუ-იორკ ტაიმსს“, ერთხელ წამოსცდა, პრესა დიდ ბიზნესად გადაიქცაო. სრული ჭეშმარიტებაა. მარტო თვით სულცბერგერი თავისი გაზეთიდან ყოველწლიურად 35-40 მილიონ დოლარ წმინდა მოგებას იღებს.




ცეკვა დოლარის დუდუკზე.

ნახატი მ. ოთაროვისა.

ამერიკული გაზეთების, ჟურნალების, რადიოს, ტელევიზიის მოგების მთავარ წყაროს წარმოადგენს შემოსავალი რეკლამიდან. ამ შემოსავალმა 1951 წელს შეადგინა უდიდესი თანხა — 4.762 მილიონი დოლარი, აქედან გაზეთების ხაზით — 2.670.900 ათასი დოლარი.

ამერიკის იმპერიალისტური წრეები პრესას, რომელიც თავიანთი კლასობრივი ინტერესების პროპაგანდის მძლავრ, ბოლომდე ცენტრალიზებულ მანქანად გადააქციეს, ფართოდ იყენებენ მზაკვრული მიზნებისათვის როგორც ქვეყნის შიგნით, ისევე მის ფარგლებს გარეთ. ამერიკის ბურჟუაზიული პრესის ერთ-ერთი ყველაზე გავლენიანი ორგანო — გაზეთი „ნიუ-იორკ ტაიმსი“, რომელიც როკფელერისა და მორგანის მონოპოლისტური წრეების რუპორს წარმოადგენს, პოლიტიკურ ტონს აძლევს მთელ ამერიკულ პრესას, რადიოსა და ტელევიზიას. მისი სპეციალური რედაქცია, რომელიც ნიუ-იორკში იმყოფება, ყოველდღიურად ამზადებს გაზეთის გამოცემებს, რომლებიც განკუთვნილია უცხოეთისათვის. „ნიუ-იორკ ტაიმსის“ გვერდების მატრიცები ყოველდღე თვითმფრინავით ჩააქვთ ამსტერდამში, სადაც იბეჭდება „ნიუ-იორკ ტაიმსის“ გამოცემანი ევროპისათვის, აფრიკისათვის, შუა აღმოსავლეთისა და აზიისათვის. ლათინური ამერიკის ქვეყნებისათვის აგრეთვე გამოდის სპეციალური გამოცემები.

ასრულებს რა თავისი ბატონ-პატრონების — უოლ-სტრიტის მაგნატების ნება-სურვილს, ამერიკის რეაქციული პრესა სწამლავს ადამიანთა გონებას იმპერიალისტური იდეოლოგიის შხამით, თესავს სიძულვილს სხვა ხალხებისადმი, აღვივებს ომის ისტერიას, ცდილობს მორალური გამართლება გამოუნახოს აგრესიას. ამერიკის ბურჟუაზიული პრესა არაფერს არ ერიდება, არც ცილისწამებას, არც სიცრუეს, არც შანტაჟსა და არც სხვა მზაკვრულ ხერხებს, რათა სახელი გაუტეხოს მსოფლიოში პირველ სოციალისტურ სახელმწიფოს — დიდ საბჭოთა კავშირს, ჩინეთის სახალხო რესპუბლიკას, სახალხო დემოკრატიის სხვა ქვეყნებს, ყველა იმათ, ვინც იბრძვის მთელ მსოფლიოში მშვიდობისათვის, ხალხთა შორის მეგობრული თანამშრომლობისათვის.

სენსაციების მოყვარულ ამერიკელ ჟურნალისტებს, კალმის ამ განგსტერებს საბჭოთა კავშირის ლანძღვა-გინებაში, დეზინფორმაციის შხამის გავრცელებაში ბადალი არა ჰყავთ მსოფლიოში. ამ ხუთი წლის წინათ ამერიკულმა ჟურნალმა „კოლიერსმა“ მოითხოვა, რომ ვაშინგტონმა შეიმუშაოს მთვარის რაც შეიძლება მალე დაპყრობის, მასზე ამერიკის სუვერენიტეტის გავრცელების და საპლანეტთაშორისო ატომური ჰაუბიცის აღმართვის გეგმა, რადგან თურმე ნუ იტყვით, საბჭოთა კავშირი აპირებს მთვარის დაპყრობას. ამერიკული პრესა გაჰკივის, რომ სხვადასხვა საზოგადოებრივ-ეკონომიური წყობილების ქვეყნების მშვიდობიანი თანაარსებობის პრინციპი „ტაქტიკური ხერხია“, რომელსაც თურმე საბჭოთა კავშირი იმისათვის მიმართავს, რომ მოადუნოს „თავისუფალი (იგულისხმეთ — კაპიტალისტური. ლ. ა.) სამყაროს სიფხიზლე“. ამის დასამტკიცებლად გაზეთები და ჟურნალები იგონებენ ყოვლად ფანტასტიკურ ამბებს „საბჭოთა ექსპანსიის“ შესახებ. მაგალითად, ფირმა „ინტერნეიშნლ ლეტექს კორპორეიშენმა“ რეკლამის სახით გაზეთ „ნიუ-იორკ ტაიმსში“ გამოაქვეყნა „აფრიკის დაპყრობის წითელი გეგმა“, რომელიც თითქოს შემუშავებულია მოსკოვში „სპეციალური შტაბის“ მიერ.

მხოლოდ უნამუსო ჟურნალისტებს, პრესის ნამდვილ როსკიპებს შეუძლიათ შეთხზან მსგავსი აბდაუბდა! იმპერიალისტურ ამერიკაში პროსტიტუციის შემდეგ ჟურნალისტის პროფესია რომ ნამდვილად იქცა ყველაზე გავრცელებულ მეორე პროფესიად, ამაში ახლა ეჭვი არავის აღარ ეპარება. როგორც ამერიკის პრესის ზნე-ჩვეულების საუკეთესო მცოდნე ძველი ჟურნალისტი ჯორჯ სელდესი მოგვითხრობს, მას სიჭაბუკეში სჯეროდა, რომ ჟურნალისტის პროფესიაზე უკეთესი ქვეყნად არაფერი იყო. მაგრამ როცა თავის საგაზეთო მოღვაწეობას იწყებდა, ერთ-ერთი დიდი გაზეთის ქალაქის ქრონიკის გამგემ ჰ. იგლმა უხეშად უთხრა გულუბრყვილო ახალგაზრდას: „სისულელეა! იცით რა პროფესიაა ეს? ეს პროსტიტუციაა. პროსტიტუცია! გაზეთის როსკიპები — აი ვინ ვართ ჩვენ, და აი რა იქნებით თქვენ, თუ გაჰყვებით ამ საძაგელ საქმეს“.

სტატიაში „კაპიტალიზმი და ბეჭდვითი სიტყვა“, ეხებოდა რა რუსულ კაპიტალისტურ პრესას, რომელიც სწრაფად ითვისებდა ამერიკული პრესის ხერხებსა და მანერებს, ვ. ი. ლენინი წერდა: „ქურდები, როსკიპი მამაკაცები, გამყიდველი მწერლები, გამყიდველი გაზეთები. ესაა ჩვენი „დიდი პრესა“.

ამერიკელი კალმის განგსტერები ოსტატურად იყენებენ რეაქციული პრესისათვის ჩვეულ ხერხებს უბრალო ამერიკელების გონების დასახშობად. მაგრამ პროგრესულად მოაზროვნე უბრალო ადამიანები, რომლებიც ამერიკის პრესას „ხალხის № 1 მტერს“ უწოდებენ, ადვილად როდი ეგებიან რეაქციული პრესის მოშხამულ ანკესზე. დღითიდღე მატულობს იმ ამერიკელების რიცხვი, რომლებზეც ველარ მოქმედებს რეაქციული პრესის ხრიკები და ფანდები. ამაში მათ ეხმარება ამერიკის პროგრესული პრესა, რომელიც მიუხედავად სასტიკი რეპრესიებისა ცოცხლობს და დღეგრძელობს.

**ლ. ასლანიშვილი.**

ტელეგადაცემათა პროგრამა 5 მაისისათვის

15.00 — გადაცემა საშუალო ასაკის ბავშვებისათვის — სატელევიზიო ჟურნალი „საქართველოს პიონერი“ № 6. 15.40 — ბავშვებისათვის — მხატვრული ფილმი „ჩვენი ქუჩის გუნდი“. 17.00-დან 20.00-მდე — შესვენება. 20.00 — საუბარი „რადიოს დღე“ (სტუდიაში დ. ხმიადაშვილი). 20.15 — საკონცერტო პროგრამა (საქართველოს კიროვის სახელობის პოლიტექნიკური ინსტიტუტის სტუდენტთა კონცერტი). 21.00 — მხატვრული ფილმი „თავხედი გოგონა“.

მეუღლე პელო, ძმები ზაქარია, დიმიტრო, გრიგოლ, რძლები ოლღა, თამარ, ალექსანდრა, ტალია ოჯახებით იუწყებიან

**ისაკი ვასილის-ძე გელაშვილის**

გარდაცვალებას. დაკრძალვა 7-V, 5 ს. ქ. ბორჯომში, გამოსვენება ბინიდან, ლუქსემბურგის ქ. № 11.

საქართველოს კპ თბილისის კომიტეტის აპარატის თანამშრომლები იუწყებიან

**ისაკ ვასილის-ძე გელაშვილის**

გარდაცვალებას.

სკკპ ცენტრალურ კომიტეტთან არსებული მარქსიზმ-ლენინიზმის ინსტიტუტის საქართველოს ფილიალის თანამშრომლები იუწყებიან

**ლავრენტი ივანეს-ძე ბარკალაიას**

გარდაცვალებას.

მეუღლე პორფირე, შვილები გიორგი, ჟუჟუნა, რძალი ვენერა იუწყებიან

**საშა სიმონის ასულ ბახტაძე-მელქაძის**

გარდაცვალებას. პანაშვიდი 5,6-V, 8 ს. გამოსვენება 7-V, 5½ ს. ხევსურეთის ქ. № 8.

დედა ელენე, მამა ონოფრე, დები ციალა, მარინე, ძმა მურთაზ, სიძე გ. გიორგობიანი იუწყებიან

**ციური ონოფრეს ასულ გიორგაძის**

გარდაცვალებას. პანაშვიდი 5,6-V, 8 ს. გამოსვენება 7-V, 5 ს. ქებურიას ქ. № 42.

მეუღლე გიორგი, დედა გალინა, ძმა ილია, დები პეპელა, მარიამ, სიძეები მ. ერაძე, შ. ელიაური ოჯახებით იუწყებიან

**ეთერ ალექსანდრეს ასულ ბერიძე-მეყანწიშვილის**

გარდაცვალებას. დაკრძალვა 5-V, 5 ს. ქ. გორში, გამოსვენება ბინიდან, შაუმიანის ქ. № 73.

და საშა, თამარ, გერმანე, სიმონ ხელაძეები, სონია, გიორგი ქევხიშვილები ოჯახებით იუწყებიან

**ხარიტონ კონსტანტინეს-ძე ჯორბენაძის**

გარდაცვალებას. დაკრძალვა 7-V ზემო ჩიბათში (ლანჩხუთის რ.).

ამიერკავკასიის რკინიგზის ქალაქის სადგურის თანამშრომლები იუწყებიან

**პლატონ დიმიტრის-ძე ჯანაშიას**

გარდაცვალებას. დაკრძალვა 7-V სოფ. წებელდაში (გულრიფშის რ.).

მეუღლე ნოე, შვილები თინა, ვახტანგ, ეთერ, ნათელა, ზაირა, რძალი მ. ბარაბაძე, სიძეები ა. კვირკველია, ტ. მურუსიძე, გ. კალანდაძე ოჯახებით იუწყებიან

**ანა ივანეს ასულ არეშიძე-გიორგაძის**

გარდაცვალებას. დაკრძალვა 7-V, 6. ს. ქ. ქუთაისში, გამოსვენება ბინიდან, ნინოშვილის ქ. № 218.

სტალინის სახელობის ორთქლმავალ-ვაგონშემკეთებელი ქარხნის კოლექტივი იუწყება

**ქსენია დიმიტრის ასულ გძელიშვილის**

გარდაცვალებას. გამოსვენება 5-V, 3 ს. დიდუბის V შესახვ. № 11.

შვილები ამბროსი, ნიკოლოზ, ვერა, ნინო, რძლები ელენე, საშა, ქენია ჭანტურიძეები, სიძეები კ. ბეღელაძე, ა. ბუსკივაძე, შ. მიქაბერიძე შვილებით იუწყებიან

**ეფროსინე გიგოს ასულ ჭანტურიძის**

გარდაცვალებას. დაკრძალვა 7-V სოფ. ჩხარიეწერში (თერჯოლის რ.).

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რუსული ენის კათედრა იუწყება კათედრის წევრის, დოცენტ

**აპოლონ გიტოს-ძე სამსონიას**

გარდაცვალებას.

შვილები სონია, მარიამ, კატო, ისიდორე, ილია, ამბროსი, რძლები გრუნია, პაშა, ქიონია, სიძეები დ. ჯამბურია, ა. ჩხაიძე ოჯახებით იუწყებიან

**პოლინე ლუკას ასულ შანიძე-ბარამიძის**

გარდაცვალებას. დაკრძალვა 7-V სოფ. ზემოსურებში (ჩოხატაურის რ.).

საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის ბოტანიკის კათედრის თანამშრომლები იუწყებიან

**ელენე არკადის ასულ ავალიანის**

გარდაცვალებას.

უე 02216

საქართველოს კპ ც. კ-ის გამომცემლობის პოლიგრაფიული კომბინატი „კომუნისტი“, ლენინის ქ. № 14.